ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებზე ჩატარებული კვლევების უმეტესობა ფოკუსირდება კარიერულ შესაძლებლობებზე (Kamenou & Fearfull, 2006), ჯანმრთელობის საკითხებზე (Bryant-Davis et al., 2009), პოლიტიკურ (Mügge et al., 2019) და ეკონომიკურ ასპექტებზე (Ram & Jones), 2008). საქართველოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების შემთხვევაში, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის კონტექსტში მნიშვნელოვანი ყურადღება მიიპყრო ქართულ საზოგადოებაში მათმა სოციალურმა და პოლიტიკურმა ინტეგრაციამ და უფლებების დაცვა-რეალიზების საკითხმა. აღნიშნულ სფეროში ჩატარებული ადრეული ნაშრომები, უპირველეს ყოვლისა, ეხებოდა საქართველოში მაცხოვრებელი ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პრობლემებს. მაგალითად, უმცირესობები, რომლებიც არ საუბრობენ სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე, რაც აფერხებს მათ ინტეგრაციას, ზოგადად (Wheatley, 2009; Yilmaz and Ögütçü, 2016; Hajieva, 2021); ან ეთნიკური უმცირესობების საკითხთა ანალიზი საქართველოს ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში (სამხარაძე, 2018; კახიშვილი 2020). თუმცა, ეს კვლევები მოიცავდა ქვეყანაში არსებულ ეთნიკურ უმცირესობებს ზოგადად, მათ შორის, ეთნიკურ სომხებს, სადაც ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალები არ იყო შესწავლილი, როგორც კონკრეტული სოციალური ჯგუფი აღნიშნულ კონტექსტში. რობერტ დალის (1994) მიხედვით, იმისათვის, რომ ეფექტურად ჩაერთონ დემოკრატიულ პროცესებში, ინდივიდები უნდა იცნობდნენ არსებულ პოლიტიკური სისტემას. კავკასიის ბარომეტრის ბოლო გამოკითხვების თანახმად, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პრობლემა სწორედ აქ იწყება, რადგან ევროკავშირის, მისი ინსტიტუტებისა და სისტემის შესახებ ინფორმირებულობის დონე ზოგადად უკიდურესად დაბალია საქართველოს უმცირესობებში (CRRC, 2021). ყოველივე ხსენებულზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ უმცირესობები არ არიან სათანადოდ ინფორმირებულნი ევროინტეგრაციის პროცესის თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული კვლევები საქართველოში ეთნიკური უმცირესობების პრობლემებზე ახდენს ფოკუსირებას (გრიგორიანი, 2015; შავთვალაძე, 2018), არცერთი მათგანი არ შეისწავლის უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების ინფორმირებულობას ევროკავშირის თაობაზე და ევროკავშირში ინტეგრაციისადმი მათ დამოკიდებულებას. ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულება, ასევე, გახლავთ ინტერესის საგანი ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც. Cosse-ს (2007) მიხედვით, მხოლოდ ინფორმაციის წყაროების არსებობა არასაკმარისია ამ საკითხის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად. მოქალაქეების, როგორც ბენეფიციართა დამოკიდებულების გაანალიზებას აზრი არ ექნებოდა, თუ ისინი ევროკავშირთან ინტეგრაციის დისკუსიებში არ იქნებიან ჩართულნი. კუნიკოს აზრით (Cunico et al., 2021), განსხვავებული ტენდენცია შეიმჩნევა ევროკავშირის უახლეს წევრ სახელმწიფოებში – პოლონეთში, ესტონეთში, რუმინეთში, უნგრეთში, ლატვიაში, სლოვაკეთში და ბულგარეთში. მათ ჰქონდათ მაღალი ცნობიერება ევროკავშირში შესვლის შემდეგ, მაგრამ მოგვიანებით ამ ტენდენციებში მნიშვნელოვანი განსხვავებები დაფიქსირდა. გაცნობიერებულობაში პიკის მიღწევის შემდეგ, ზოგიერთ ქვეყანაში, როგორცაა რუმინეთი, ბულგარეთი და სლოვაკეთი, იგი საბოლოოდ იწყებს კლებას, როგორც ეს მოხდა ყოფილ წევრ ქვეყნებში. ესტონეთში კი განევრიანებისთანავე მკვეთრად შემცირდა ხსენებული ტიპის გაცნობიერებულობის ხარისხი. საბოლოო ჯამში, ლატვიის, პოლონეთის და უნგრეთის გაცნობიერებულობის ხარისხის ზრდა აღწევს ისეთ წერტილს, სადაც იგი სტაბილურდება და სახეზეა გარკვეული დონის ფლუქტუაცია.

სახეზეა გარკვეული მცდელობები და პროექტები ევროკავშირის თაობაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. კონცოლის (2019) მოსაზრებით, ახალგაზრდა ევროპელებს აქვთ პოლიტიკურ პროცესებში გარკვეული დონით ჩართულობის შესაძლებლობა, თუმცა, ეს მონაწილეობა ვერ იქნება არსებითი გადაწყვეტილებების მიღების კუთხით (Gherghina & Geissel, 2017). ამრიგად, ის უნარები, რომლებიც პროცესში ჩართულმა ჯგუფებმა შეიძინეს, მეტადრე წარმოდგენს კონსულტაციური სახის უნარებს, ვიდრე რეალური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებ-

ლობას. პროცესში ჩართულობის არსებული ფორმების გათვალისწინებით, ახალგაზრდებს შეუძლიათ, შეადგინონ კითხვების სიები, მონაწილეობა მიიღონ საჯარო მსჯელობებში, ძირითადად ევროპის ახალგაზრდული ფორუმის მეშვეობით, წევრ სახელმწიფოთა შესაბამისი სტრუქტურების მიერ განსაზღვრული ინსტრუქციების შესაბამისად. ამ ტიპის ჩართულობას ერთობ დიდი მნიშვნელობა გააჩნია. კომუნიკაციის ამგვარი არხებით, გადაწყვეტილებების მიმღებნი ზრდიან ახალგაზრდების „გაცნობიერებულობას“ ევროკავშირის თაობაზე და აძლევენ მათ ლოკალურ და საერთაშორისო პოლიტიკურ ქსელებში ჩართვის შესაძლებლობას. ეს წარმატებული მაგალითი გვიჩვენებს, რომ ევროინტეგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული ცნობიერების უკმარისობა იძლევა ცნობიერების ამაღლების ახალი, შესაბამისი პროგრამების შემუშავების შესაძლებლობას. ამრიგად, ევროინტეგრაციისადმი დამოკიდებულებაზე გავლენის ფაქტორები საფუძვლიანად უნდა იყოს შესწავლილი საქართველოს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა კონტექსტში.

ევროკავშირთან დაკავშირებულ საკითხებში გაცნობიერებულობა და სახელმწიფო ენის ცოდნა

არასაკმარისი ინფორმირებულობა და ცნობიერება, როგორც ვითარების არცოდნისა და მოვლენებზე კონტროლის არქონის წინაპირობა, არ არის მხოლოდ იმ ინდივიდთა და ჯგუფთა პრობლემა, რომლებიც იმყოფებიან სხვათა გავლენის ქვეშ. მოვლენებზე არა ინფორმირებულობა ინდივიდებს აყენებს წამგებიან პოზიციაში, რამეთუ ისინი რჩებიან რეალური სოციალურ-პოლიტიკური პროცესების მიღმა. ამ კონტექსტში განათლება და ინფორმირებულობა მოიაზრება, როგორც ინდივიდთა გაცნობიერების პროცესი, რაც საშუალებას აძლევს მათ მოიპოვონ ძალაუფლება და მოვლენებზე კონტროლი, სხვა სიტყვებით, ეს არის ემანსიპაციის პროცესი (Szkudlarek & Zamojski, 2020). ამ გაგებით, საზოგადოების თითოეული სეგმენტი, უმცირესობათა და ქალთა ჩათვლით ხდებიან ინფორმირებულნი მიმდინარე საზოგადოებრივ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ ცხოვრებაზე. ფავეროს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით Favero's (2020), განათლების მქონე ქალები, კაცებთან შედარებით, უფრო მეტად უჭერენ მხარს ევროინტეგრაციულ პროცესებს. ჭელიძის მიხედვით (ჭელიძე, 2021), ევროკავშირის მიმართ არსებობს მაღალი ინტერესი და იგი ორმხრივი ურთიერთქმედებების დინამიკისა და თავისებურებებისგან დამოუკიდებლად არსებობს. ინდივიდები ინფორმაციას უმთავრესად ტელევიზიის მეშვეობით იღებენ. ჩვენი მოსაზრებით, ეთნიკურ უმცირესობათა ინფორმირებულობის მიზნით ოპტიმალური გზა იქნება ინფორმირებულობის ასამაღლებელი შესაბამისი სატელევიზიო გადაცემების მომზადება და იმავე საშუალების გამოყენებით მათთვის სახელმწიფო ენის გაკვეთილების შეთავაზება. კიდევ ერთი გზა აღნიშნული მიზნის მისაღწევად შეიძლება იყოს უმცირესობებისთვის სკოლის პროგრამებში ევროპასთან დაკავშირებული ცოდნის კიდევ უფრო სიღრმისეული მიწოდება შესაბამისი საგნების ფარგლებში (ისტორია, სამოქალაქო განათლება). შესაბამისად, მოსახლეობის და კონკრეტულად კი, ეთნიკური უმცირესობების უფრო მეტად ინფორმირებულობა განათლების სისტემის მეშვეობით შეიძლება ჩაითვალოს ევროინტეგრაციის პროცესისადმი პოზიტიური ატიტუდების განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად.

საქართველოს რიგ ღარიბ რეგიონებში, სადაც სკოლებს არ გააჩნიათ დაფინანსება (ან თუ გააჩნიათ, ერთობ უმნიშვნელო), ბიჭების მნიშვნელოვანი ნაწილი ანებებს თავს სწავლას ადრეულ კლასებში და იწყებენ მუშაობას. ეს ტენდენცია სახეზეა ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსწავლეებშიც, თუმცა, მათში სწავლას თავს ანებებენ უფრო გოგონები, ვიდრე ბიჭები. როგორც წესი, მშობლები გოგონების განათლებას მცირე მნიშვნელობას ანიჭებენ, ხოლო ადრეული ქორწინების შემთხვევებში კი გოგონებს შეიძლება 13-14 წლის ასაკშიც კი დაანებებინონ სწავლას თავი (Group & Karaia, 2019). აქედან გამომდინარე, საქართველოში მაცხოვრებელი ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალებისთვის ევროინტეგრაციულ პროცესებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით ინფორმაციის მიწოდება კვლავ წარმოადგენს პრობლემატურ საკითხს.

აქტივიზმი

აქტივიზმი არის სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პროცესებზე გავლენის მოხდენის საშუალება, რათა მოხდეს საზოგადოებრივი ყოფის გაუმჯობესება. მკვლევრები გამოყოფენ

მრავალი სახის აქტივიზმს, მათ შორის, ეს შეიძლება იყოს ადგილობრივ გაზეთებში წერილების გაგზავნა, თემის შეხვედრების ორგანიზება, მსვლელობების მოწყობა, სხვადასხვა სახის პერფორმანსების და შიმშილობის აქციების მოწყობა, პოლიტიკურ პროცესებში (არჩევნები) მონაწილეობის მიღება. შესაბამისად, აქტივიზმი შეიძლება განისაზღვროს, როგორც პოლიტიკური ჩართულობის სინონიმი, რომელიც გულისხმობს ამავე პროცესში მონაწილეობისთვის შესაბამისი კოგნიტური უნარების ფლობას და აქტუალურ საზოგადოებრივ საკითხებზე ინფორმირებულობას (Dee, 2020). განათლება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც განაპირობებს ინდივიდთა და ჯგუფთა პოლიტიკურ აქტივობას როგორც კაცებში, ასევე ქალებში (Sahu & Yadav, 2018). ბერნსი, შლოზმანი და ვერბა (Burns, Schlozman, and Verba, 2001) ამტკიცებენ, რომ აქტივიზმი მრავალმხრივ ეხმარება ინდივიდებს: ისინი მეტ ცოდნას იძენენ თავიანთ თემზე და საზოგადოებაზე, ზოგადად, ავითარებენ მნიშვნელოვან სოციალურ უნარებს და უფრო კარგად ესმით სხვათა ინტერესები და მოთხოვნები. ასე რომ, ქალი, რომელიც სოციალურად აქტიურია, ამასთანავე, არის განათლებულიც, რომელსაც კარგად ესმის საზოგადოებრივი პროცესები. ამ კონტექსტში შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ თუკი ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალები აქტიურად ჩაერთვებიან საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისინი დაეუფლებიან ცოდნას ევროინტეგრაციულ პროცესთან დაკავშირებით და მათი დამოკიდებულებებიც პოზიტიური იქნება. მეჰრაბოვი (Mehrabov, 2016) გამოყოფს ოთხი სახის აქტივიზმს ეთნიკურად აზერბაიჯანელ ქალებში – ტრადიციული ოპოზიციური პოლიტიკური აქტივიზმი, რელიგიურ-მუსლიმური აქტივიზმი, ფემინისტური აქტივიზმი და ლიბერალური აქტივიზმი. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური აქტივიზმი აუცილებლად არ გულისხმობს ოპოზიციური ტიპის აქტივობას. ჩვენს შემთხვევაში, ევროინტეგრაციის მხარდაჭერა თანხმობაშია საქართველოს ოფიციალურ პოლიტიკურ დისკურსთან (საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრი, 2017 წ., გვალაია და სხვ. 2013; ჯავახიშვილი და სხვ. 2021 წ.).

ინოვაციები/თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება

ვან დერ ჰავეს და რუბალკაბას მიხედვით (Van der Have and Rubalcaba, 2016, p.1924), ტექნოლოგიურ ინოვაციებს აქვს გარკვეული სოციალური იმპლიკაციები. ტექნოლოგიურ ინოვაციასა და პიროვნულ ინოვაციას შორის მჭიდრო კორელაცია არსებობს. ინოვაციური ინდივიდები არიან ისინი, ვისაც აქვთ ახალი ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, უფრო მეტად იღებენ რისკებს და ასეთები არიან, თანდაყოლილი ინტერესისა და სიახლეებისადმი მიდრეკილების გამო. იმის გათვალისწინებით, რომ ტექნოლოგიური ინოვაციის ცნება მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალური ინოვაციის ცნებასთან, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არსებობს დადებითი ურთიერთმიმართება ინდივიდუალურ ინოვაციასა და სოციალურ ინოვაციას შორის. თრეისი და სკოტი (Tracey and Stott, 2017, p.56) იძლევიან სოციალური ინოვაციის ტიპოლოგიას, მიუთითებენ რა იმ ფაქტზე, რომ საზოგადოებრივი საკითხების მოგვარებაში ციფრული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, რაშიც ხდება შესაბამისი ინვესტიციების ჩადება. რაჰმანი (Rahman et al., 2018, p.242) განიხილავს სოციალურ ინოვაციას ტექნოლოგიური ინოვაციის პრიზმაში და ასკვნის, რომ პიროვნული ინოვაცია წარმოადგენს ტექნოლოგიური ინოვაციების მაპროგნოზირებელ ფაქტორს, სოციალური ასპექტის გათვალისწინებით. მეტიც, ოსიპოვის მტკიცებით (Osipov et al., 2022), ციფრული სწავლება არის პრაქტიკული, ეკონომიური და მაღალ-ეფექტური საშუალება იმისთვის, რომ განათლება უფრო მიმზიდველი გახდეს ახალგაზრდებისთვის, რაც გამოიწვევს მათი განათლებით კიდევ უფრო დაინტერესებას. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ინოვაცია, როგორც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, გაზრდის ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალების ინფორმირებულობას ევროინტეგრაციულ პროცესებთან მიმართებაში. ნაშრომის ცენტრალური საკვლევი საკითხია, რა ფაქტორები ახდენს გავლენას საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალების ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულებაზე და ამ მიზნით შესწავლილია ოთხი შესაძლო ფაქტორის მნიშვნელობა. ასევე, როგორც უკვე ზემოთ განვიხილეთ, შესაბამისი ლიტერატურის მიხედვით, სახელმწიფო ენის ცოდნა არის სამოქალაქო აქტივიზმის განმაპირობებელი პოტენციური უნარი, რაც, თავის მხრივ, იწვევს ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულების გაუმჯობესებას და შესაბამისად, აღნიშნული ფაქტორიც ჩვენს მიერ სიღრმისეულად განიხილება. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში შემოწმდა შემდეგი ჰიპოთეზები:

H1: ევროკავშირის შესახებ ცოდნის/ინფორმირებულობის (განათლების) დონე, სახელმწიფო ენის ცოდნა, ქალთა აქტიურობა და ინოვაცია/ახალი ტექნოლოგიების გამოყენება წარმოადგენს ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულების დადებით პრედიქტორებს.

H2: აქტივიზმი არის მედიაციური ფაქტორი ოფიციალური ენის ცოდნასა და ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულებას შორის. სახელმწიფოს ოფიციალური ენის ცოდნა პირდაპირ კავშირშია ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულებასთან (პიპოთეზა 1), თუმცა, კავშირი უფრო ძლიერდება აქტივიზმის მეშვეობით.

3. მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდები

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია კორელაციული დიზაინი, მონაცემები შეგროვდა კითხვარის მეშვეობით. ხსენებული მეთოდი ფართოდ გამოიყენება და შესაძლებელს ხდის საკვლევი პოპულაციის მნიშვნელოვანი ნაწილის მოცვას შედარებით ნაკლები დანახარჯების მეშვეობით (Taherdoost, 2019).

კონცეპტუალურ მოდელში ჩამოთვლილი ცვლადები გამოყენებულ იქნა კითხვარის შესაბამისი პუნქტების გენერირებისთვის. კითხვარი შეიცავს ორ ნაწილს: პირველ ნაწილში მოცემულია რესპონდენტთა დემოგრაფიული მახასიათებლები, ხოლო მეორეში – კვლევის ცვლადები. კითხვარი შემუშავდა აზერბაიჯანულ ენაზე მისი ადმინისტრირების გასაადვილებლად. საპილოტე კვლევა ჩატარდა მონაცემთა შეგროვებამდე, რათა უზრუნველყოფილიყო კითხვარის ვალიდობა და სანდოობა. კვლევის მონაწილეებმა რეკომენდაცია გაუწიეს კითხვარში რამდენიმე მოდიფიკაციას. კითხვარი განახლდა საპილოტე კვლევის მონაწილეთა კომენტარების შესაბამისად, შერჩეული მეთოდოლოგიის მიხედვით (Cooper & Schindler, 2014).

პასუხები დამუშავებულია 7-ქულიანი ლიკერტის ტიპის სკალით, ისინი მერყეობს 1-დან ("კატეგორიულად არ ვეთანხმები") 7-მდე ("სრულიად ვეთანხმები"). ხუთი ცვლადიდან თითოეული – ოთხი პრედიქტორი და ერთი შედეგის ცვლადი – შეფასდა სამი დებულების მეშვეობით. ინოვაციის/ახალი ტექნოლოგიების გამოყენების დებულება შემდეგი სახითაა ფორმულირებული: „ვიყენებ თანამედროვე „გაჭეტებს“ ინფორმაციის წვდომისათვის ან მის გადასაცემად“; ევროკავშირთან ინტეგრაციისადმი დამოკიდებულებისთვის: „მჯერა, რომ საქართველოს ევროინტეგრაცია დადებითი პროცესია“; განათლებისთვის: „განათლებამ გააუმჯობესა ჩემი ცოდნა საქართველოს ევროინტეგრაციული პროცესების მიმართ“; სახელმწიფო ენის ცოდნისთვის: „მე ვიცი ქართული“; ხოლო აქტივიზმისთვის: „ვმონაწილეობ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ ქუჩის აქციებში“. სკალების სანდოობის დადგენის შემდეგ, თითოეული ცვლადის შემადგენელი საშუალო ქულა გამოთვლილ იქნა სამ შესაბამის კითხვაზე პასუხის მიხედვით.

შერჩევა


რესპონდენტები შერჩეულ იქნენ მრავალსაფეხურიანი შერჩევის ტექნიკით ეთნიკურად აზერბაიჯანულ ქალთა ჯგუფებიდან, ძირითადად Facebook-ის პლატფორმაზე. აზერბაიჯანული უმცირესობის ჯგუფის ქალებმა, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს ოთხ რეგიონში – გარდაბანი, მარნეული, დმანისი და ბოლნისი – მიიღეს 400 ანკეტა, როგორც ელექტრონული, ასევე, ბეჭდური სახით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 380-მა რესპონდენტმა (პოტენციური 400-დან). გამოკითხვა ჩატარდა შერეული ფორმით. ანკეტები 2022 წლის ივნისში დარიგდა იმ რეგიონებში, სადაც ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა ცხოვრობს.

3.5 მონაცემთა დამუშავება

მონაცემები დამუშავდა SMART-PLS პროგრამაში, სტრუქტურული განტოლების მოდელის (SEM) გამოყენებით. ხსენებული მოდელის გამოყენების უპირატესობა ისაა, რომ ის მკვლევარებს აძლევს იმის საშუალებას, შეამოწმონ, თუ როგორ უკავშირდება ცვლადები ერთმანეთს (Urban & Mayerl, 2013). ეს მეთოდი მიზანშეწონილია განტოლებათა ნაკრების ერთდროულად პროგნოზირებისთვის და ცვლადებს შორის ურთიერთმიმართების დამყარებისთვის (Davari & Rezazadeh, 2013). SEM-PLS წარმოადგენს მეორე თაობის მეთოდს (Haenlein & Kaplan, 2004). PLS მოდელი აგებულია კომპონენტთა ანალიზის პრინციპზე, რომელიც აღწერს მოდელის პარამეტრების ცვლილებებს.

სტრუქტურული მოდელი ნაჩვენებია გრაფაზე 1. მოდელის შესაბამისი პარამეტრების გაანგარიშებით უზრუნველყოფილ იქნა სკალის სანდოობა და დისკრიმინანტური ვალიდობა, ხოლო ელემენტებს შორის დამაკავშირებელი კოეფიციენტების დადგენით შემონმდა სტრუქტურული მოდელი. სტრუქტურული მოდელი აჩვენებს კავშირებს (მათ შორის, შუალედურ ბმულებს) ლატენტურ კონსტრუქტებს შორის, იმ ერთეულებს შორის, რომლებიც გაერთიანებულია შესაბამისი ცვლადების ქვეშ.

გრაფა 1. სტრუქტურული განტოლების მოდელის სპეციფიკაციის დიაგრამა



4. შედეგები და განხილვა

4.1 გაზომვის მოდელის შედეგები: ელემენტთა სანდოობა SEM კონსტრუქტში, რომელიც წარმოადგენს სკალის ქულებს, შეფასდა კრონბახის ალფას და კომპოზიტური კოეფიციენტების მეშვეობით. კრონბახის ალფას მნიშვნელობა 0,7-ზე მეტია თითოეული ფაქტორის შედეგების მიხედვით, რაც დამაჯერებელი მტკიცებულებაა იმისა, რომ ნანალის მეთოდოლოგიით მოპოვებული მონაცემები სანდოა (1978). კომპოზიტური სანდოობის მაჩვენებელი (ცხრილი 1) ადასტურებს ინდიკატორების სანდოობას, რაც გვიჩვენებს, რომ თითოეული ცვლადის ქულა მეტია 0.7-ზე, რაც მიჩნეულია რელევანტურად (Wasko & Faraj, 2005). გამოყვანილი საშუალო ვარიაცია (AVE) მეტია 0,5-ზე და rho A მეტია 0,7-ზე (Chin, 1998), რაც ადასტურებს მონაცემთა სიზუსტეს და სანდოობას.

ცხრილი 1. მონაცემები, საიმედოობა და ვალიდობა

	მონაცემები	კრონბახის ალფა	rho_A	კომპოზიტური სანდოობა	გამოყვანილი საშუალო ვარიაცია
ATT1	0.862	0.891	0.891	0.933	0.822
ATT2	0.942				
ATT3	0.914				
ACT1	0.894	0.825	0.83	0.896	0.742
ACT2	0.807				

ACT3	0.880				
IN1	0.920	0.898	0.909	0.936	0.83
IN2	0.925				
IN3	0.887				
EDU1	0.937	0.925	0.926	0.953	0.87
EDU2	0.939				
EDU3	0.922				
LANG1	0.759	0.731	0.764	0.844	0.643
LANG2	0.806				
LANG3	0.839				

დისკრიმინანტული ვალიდობის გამოთვლის შედეგები, რომელიც ჩატარდა ფორნელ-ლარკერის კრიტერიუმის გამოყენებით, ნაჩვენებია ცხრილში 2. თითოეული სტრუქტურის ქვეფაქტორები უნდა განსხვავდებოდეს სხვა შემადგენელთა ქვეფაქტორებისგან. სტანდარტების დიაგონალური ხაზის წარმოდგენით, რომელიც აკრავს AVE-ის კვადრატულ ფესვს, მე-2 ცხრილში მოცემული მნიშვნელობები ქმნიან შესაბამის ურთიერთმიმართებებს. ცხრილის დიაგონალური ხაზი იძლევა დისკრიმინანტულ ვალიდობას (Fornell & Larcker, 1981).

ცხრილი 2. კორელაციათა ჰეტერო და მონო თანაფარდობა და ფორნელ-ლარკერის კრიტერიუმი

	ევროინტეგრაციისადმი დამოკიდებულება	აქტივიზმი	ინოვაცია	განათლება	ენა
ევროინტეგრაციისადმი დამოკიდებულება	0.907	0.784	0.419	0.746	0.461
აქტივიზმი	0.674	0.861	0.437	0.722	0.431
ინოვაცია	0.379	0.378	0.911	0.327	0.272
ევროკავშირის შესახებ ცოდნის ხარისხი	0.679	0.628	0.302	0.933	0.392
სახელმწიფო ენის ცოდნა	0.387	0.351	0.234	0.338	0.802

შენიშვნა: მუქ ფერში მოცემული მნიშვნელობები წარმოადგენს გამოყვანილი საშუალო ვარიაციის (AVE) კვადრატულ ფესვს. დიაგონალურ ელემენტთა ქვემოთ მოცემულია კორელაციები. დიაგონალურ ელემენტთა ზემოთ მოცემულია კორელაციური მნიშვნელობების ჰეტერო და მონო თანაფარდობები.

4.2 სტრუქტურული მოდელის შედეგები

კვლევის კონცეფციაში შემოთავაზებული ტრაექტორიები ასახულია სტრუქტურულ მოდელში. სტრუქტურული მოდელი შეფასებულია R2-ის და ტრაექტორიების მნიშვნელოვნებათა საფუძველზე. ბრიონ პენიალვერის (2018) მიხედვით, თითოეული სტრუქტურული კურსის მდგრადობა განსაზღვრავს მოდელის ვარგისიანობას და R2-ის მნიშვნელობა პრედიქტორი ცვლადებისთვის უნდა იყოს 0.1-ის ტოლი, ან მეტი, რათა ის იყოს კვლევისთვის რელევანტური (Falk & Miller, 1992). ცხრილი 3-ის SEM ანალიზი გვიჩვენებს, თუ როგორ დადასტურდა შემოთავაზებული ჰიპოთეზა 1. როგორც სტატისტიკური დასკვნის კრიტერიუმი, მნიშვნელობა 0.05 (p = 0.05) გამოიყენება, როგორც სტრუქტურული მოდელის ფარგლებში განსაზღვრული ტრაექტორიების მნიშვნელოვნების დონე. ცხრილი 3-ის შედეგები აჩ-

ვენებს, რომ ყველა R2 მნიშვნელობა 0.1-ზე მეტია. შესაბამისად, გაჩნდა რელევანტური პრედიქციის შესაძლებლობა.

მიღებულმა შედეგებმა დაადასტურა H1 ჰიპოთეზა ($\beta = .392$, $t = 7.768$, $p = .000$). შედეგები აჩვენებს, რომ ოფიციალური ენის ცოდნა ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულების ($\beta = .107$, $t = 2.829$, $p < .005$) მნიშვნელოვანი პოზიტიური პრედიქტორია, ისევე, როგორც ქალთა აქტივიზმი ($\beta = .351$, $t = 6.051$, $p < .000$) და ინოვაცია ($\beta = .103$, $t = 2.596$, $p < .009$), რაც ადასტურებს ჰიპოთეზას H1.

ცხილი 3. პიქაპიხი კავშირების კიჩეხიუმის შედეგები

	ტრაექტორიის კოეფიციენტი	SD	t მნიშვნელობა	p-მნიშვნელობა
განათლება -> დამოკიდებულება ევროკავშირში ინტეგრაციისადმი	0.392	0.050	7.768	0.000
ენა -> დამოკიდებულება ევროკავშირში ინტეგრაციისადმი	0.107	0.038	2.829	0.005
აქტივიზმი -> დამოკიდებულება ევროკავშირში ინტეგრაციისადმი	0.351	0.058	6.051	0.000
ინოვაცია -> დამოკიდებულება ევროკავშირში ინტეგრაციისადმი	0.103	0.040	2.596	0.009
R2 დამოკიდებულებები ევროკავშირში ინტეგრაციისადმი =0.583				

H2-ის შესამოწმებლად ჩატარდა მედიაციური ანალიზი. შედეგებმა (ცხრილი 4) გამოავლინა ქალთა აქტივიზმის მნიშვნელოვანი მედიატორული როლი ოფიციალური ენის ცოდნასა და ევროკავშირში ინტეგრაციის ცვლადებს შორის, რაც ადასტურებს ჰიპოთეზას H2-ს.

ცხილი 4. მედიაციური ანალიზის შედეგები

სპეციფიკური არაპირდაპირი გავლენები	კურსის კოეფიციენტი	SD	t	p
ენის ცოდნა -> აქტივიზმი -> დამოკიდებულება ევროკავშირში ინტეგრაციისადმი	0.123	0.025	4.832	0.000

4.3 განხილვა

წინამდებარე კვლევამ დაადგინა ურთიერთმიმართება ისეთ საკითხებს შორის, როგორებიცაა: ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულება და ოფიციალური ენის ცოდნა, განათლება/ინფორმირებულობა, აქტივიზმი და ინოვაციები. კვლევამ აჩვენა, რომ განათლება/ინფორმირებულობა ევროკავშირთან დაკავშირებულ საკითხებში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ევროკავშირთან ინტეგრაციისადმი დამოკიდებულებაზე. კვლევის შედეგები ჟანგ-ის (Zhang, 2020) მიერ ჩინეთში ჩატარებული კვლევის დასკვნების იდენტურია, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ კვლევებმა, პროექტებმა და ზოგადი ცოდნის გავრცელებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევროკავშირის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირებაში. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ ცოდნის გავრცელება სხვადასხვა

წყაროებით (მასმედია, განათლება, სოციალური ქსელები და ა.შ.) დადებითად აძლიერებს ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულებას მოქალაქეებში, მათ შორის, უმცირესობებშიც.

კვლევამ, ასევე, აჩვენა, რომ სახელმწიფოს ოფიციალური ენის ცოდნა ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულების მნიშვნელოვანი დადებითი პრედიქტორია, რაც შეესაბამება გიანაკოპულოს (2019) დასკვნებს, რომელმაც დაადგინა, რომ რამდენადაც იზრდება სახელმწიფოს ოფიციალური ენის ცოდნის დონე თურქეთის ეთნიკურად ქურთ უმცირესობაში, ასევე, იზრდება მათი გაცნობიერება სამოქალაქო/პოლიტიკური უფლებებთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, კვლევამ (ასევე) დაადგინა უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა აქტივიზმის მნიშვნელოვანი გავლენა ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულებაზე. უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა აქტივიზმის მნიშვნელობა, ასევე, გამოიკვეთა კობახიძის ნაშრომში (2021), რომელიც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა ჩართულობას შეუძლია გააუმჯობესოს საზოგადოების მიერ ლეგიტიმურობის აღქმა, რომელიც ნაწილობრივ შემცირებულია მიმდინარე პოლიტიკური პოლარიზაციისა და არასტაბილურობის შედეგად. პატიოსნება, ზომიერება და მოკრძალება – თვისებები, რომლებიც ზოგადად წახალისებულია პატრიარქალურ გარემოში, ასევე, შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიტიკური პროცესებისა და ქართველი პოლიტიკოსების მიმართ ნდობის ასამაღლებლად. ბევრი სირთულე, რომელსაც ახლა აწყდებიან ქალები პოლიტიკაში, მათთვის მეტი ძალაუფლების მიჩქებით შეიძლება დაიძლიოს. იგივე იდეას გვთავაზობს მეჰრაბოვი აზერბაიჯანში ქალთა აქტივიზმის განხილვისას (Mehrabov, 2016).

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა შორის არსებული ინოვაცია იწვევს ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართ დადებით დამოკიდებულებას. „სმარტფონების“ ფართო გავრცელება ქართულ საზოგადოებაში, ზოგადად, სოციალური მედია და განსაკუთრებით, YouTube პლატფორმა, მნიშვნელოვან და მუდმივად მზარდ გავლენას ახდენს უმცირესობის წარმომადგენელი ქალების მოსაზრებებზე, რაც ზრდის ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. მიღებული შედეგები შეესაბამება Park & Chung-ის (2020) დასკვნებს.

კვლევამ, ასევე, აჩვენა აქტივიზმის მედიატორული გავლენა სახელმწიფოს ოფიციალური ენის ცოდნასა და ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულებას შორის. მედიატორული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ აქტივიზმი მნიშვნელოვანი ფაქტორია სახელმწიფო ენის ცოდნასა და ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულებებს შორის, ვინაიდან მხოლოდ ოფიციალური ენის ცოდნით არის შესაძლებელი უმცირესობების წარმომადგენელი ქალების აქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ საქმიანობაში. ამგვარად, ოფიციალური ენის ცოდნა აძლიერებს აქტივიზმს, რაც, თავის მხრივ, იწვევს აქტუალურ სოციო-პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობას. თავის მხრივ, უმცირესობების წარმომადგენელ ქალებს შეუძლიათ ევროკავშირისა და სხვა მიმდინარე საკითხების შესახებ საკუთარი ცნობიერების გაზრდა აქტიური მონაწილეობით არა მხოლოდ ინდივიდუალურ დონეზე, არამედ სოციალური მედიის გამოყენებითაც.

5. დასკვნა

მოცემული ნაშრომი წარმოადგენს ინტეგრირებული მოდელის შემუშავებისა და ტესტირების ერთ-ერთ უპირველეს მცდელობას, რომელიც აკავშირებს ისეთ სოციალურად მნიშვნელოვან ცვლადებს, როგორცაა ევროკავშირთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა, სახელმწიფო ენის ცოდნა, აქტივიზმი და ინოვაციები საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალების ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულების კონტექსტში. კვლევა ღირებულ კონტრიბუციას წარმოადგენს არსებულ ლიტერატურასთან მიმართებაში იმ კუთხით, რომ ევროკავშირთან დაკავშირებულ საკითხებში გაცნობიერებულობამ, ოფიციალური ენის ცოდნამ, აქტივიზმმა და ინოვაციამ, როგორც დადებითმა პრედიქტორებმა, შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს დამოკიდებულებები ევროკავშირთან ინტეგრაციის მიმართ. ოფიციალური ენის ცოდნასა და ევროკავშირში ინტეგრაციის ცვლადებთან ურთიერთმიმართებებს შორის ქალთა აქტივიზმის მნიშვნელოვანი მედიატორული როლი ხაზს უსვამს ოფიციალური ენის ცოდნის მნიშვნელობას, რათა ქალებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ, ერთის მხრივ, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხოლო, მეორეს მხრივ, დამოკიდებულებათა ჩამოყალიბებაში

კვლევის მონაცემები გაანალიზებულია სიმეტრიული PLS-SEM ტექნიკის გამოყენებით. სტრუქტურული განტოლების მოდელის მონაცემები აჩვენებს, რომ თითოეული პროგნოზირებადი ცვლადი რელევანტურია და დადებით კორელაციაშია ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულებასთან. ცვლადებს შორის ურთიერთმიმართება გამოვლინდა ეთნიკური აზერბაიჯანელი ქალების მაგალითზე, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოში ეთნიკური დარელიგიური უმცირესობების ინტერსექციურ ჯგუფს.

მიღებული დასკვნები საშუალებას იძლევა, რეკომენდაცია გავცეთ რეგიონებში უმცირესობების ინტეგრაციის პროგრამების გაფართოებაზე. განსაკუთრებით, სასურველია გრანტების მიმართვა იმ პროგრამებზე, რომლებიც ზრდის უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა აქტიურობას სოციალურ საკითხებში. რეკომენდებულია აღნიშნულ პროცესში იმ რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მეტი ჩართვა, რომლებიც უმცირესობათა საკითხებზე მუშაობენ. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, შესაბამისი ტრენინგების ჩატარება უმცირესობების ენებზე. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა “1+4” უდიდეს როლს თამაშობს უმცირესობების წარმომადგენელი ქალების ინტეგრაციაში, ოფიციალური ენის სწავლების საფასური სახელმწიფომ უნდა დაფაროს. კიდევ ერთი რეკომენდაციაა რეგიონული ტელევიზიისა და მასმედიის საშუალებით ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა შორის კონკურსების ჩატარება ევროკავშირის საკითხებთან დაკავშირებით.

აღნიშნული კვლევა იმ მცირერიცხოვანთაგან ერთ-ერთია, რომელიც სტრუქტურული განტოლების მოდელის სიმეტრიულ ტექნიკებს აერთიანებს. მოცემულის სტრატეგია შეიძლება, გამოყენებულ იქნას მომავალ კვლევებში. ეს მიდგომა შეიძლება, გამოყენებულ იქნას სხვა უმცირესობებთან მიმართებაშიც. კვლევის მონაცემები შეგროვდა საქართველოს ოთხი რეგიონიდან. ჩვენს მიერ გამოყენებული მოდელი შეიძლება, გამოყენებულ იქნას სხვა განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში შეგროვებული მონაცემების ანალიზისთვის. ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ შეისწავლა მხოლოდ ის, თუ როგორ აღიქმება ევროკავშირში ინტეგრაცია კონკრეტულ სეგმენტში; სამომავლო კვლევებმა შესაძლოა შეისწავლოს პოლიტიკური ან ეკონომიკური ასპექტების მნიშვნელობაც.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. Baker, M. J. (2003). Data Collection – Questionnaire Design. *The Marketing Review*, 3(3), 343–370, available at <https://doi.org/10.1362/146934703322383507>
2. Briones Peñalver, A. J., Bernal Conesa, J. A., & de Nieves Nieto, C. (2018). Analysis of corporate social responsibility in Spanish agribusiness and its influence on innovation and performance. *Corporate Social Responsibility and Environmental Management*, 25(2), 182–193.
3. Bryant-Davis, T., Chung, H., & Tillman, S. (2009). From the margins to the center: Ethnic minority women and the mental health effects of sexual assault. *Trauma, Violence, & Abuse*, 10(4), 330–357.
4. Burns, N., Schlozman, K. L., & Verba, S. (2021). *The private roots of public action*. In *The Private Roots of Public Action*. Harvard University Press.
5. Chin, W. W. (1998). The partial least squares approach to structural equation modeling. *Modern Methods for Business Research*, 295(2), 295–336.
6. Civil.ge. (2021, May 19). The Language Barrier: The Ongoing Challenge to Provide Decent Education to Georgia’s Minority Schoolchildren. Civil.Ge, available at <https://civil.ge/archives/421176>
7. Cooper, D. R., & Schindler, P. (2014). *Business research methods*. McGraw-hill.
8. Cosse, H. (2007). *Increasing the Citizens’ Attitude to the EU integration: The European Commission as a driving force for publicity? [Master’s Thesis]*. University of Twente.
9. Cunico, G., Aivazidou, E., & Mollona, E. (2021). Building a dynamic theory of citizens’ awareness of European Cohesion Policy interventions. *European Journal of Operational Research*, 289(2), 758–773, available at <https://doi.org/10.1016/j.ejor.2020.07.017>
10. Dahl, R. A. (1994). A democratic dilemma: system effectiveness versus citizen participation. *Political science quarterly*, 109(1), 23–34.

11. Dandona, A. (2015). Activism of women: A conceptual framework. *The International Journal of Indian Psychology*, 2(3), 35-45.
12. Davari, A., & Rezazadeh, A. (2013). SEM-PLS Software. *Structural Equation Modeling*, Tehran: University of Tehran.
13. Dee, T. S. (2020). Education and civic engagement. In *The economics of education* (pp. 103-108). Academic Press.
14. Falk, R. F., & Miller, N. B. (1992). *A primer for soft modeling* (pp. xiv, 103). University of Akron Press.
15. Favero, A. (2020). The influence of gender on attitudes towards the EU among the Polish 'winners of European integration'. *European Political Science Review*, 12(1), 19-34, available at doi:10.1017/S1755773919000304
16. Fornell, C., & Larcker, D. F. (1981). *Structural equation models with unobservable variables and measurement error: Algebra and statistics*. Sage Publications Sage CA: Los Angeles, CA.
17. Gelovani, N., Ismailov, D., & Bochorishvili, S. (2017). Islam, Gender and Education in Contemporary Georgia: The Example of Kvemo Kartli. *International Journal of Humanities and Social Sciences*, 11(7), 1845-1849.
18. Georgian Center for Security and Development (2017). *EU Georgian Relations: Future Perspective*. Policy paper, available at: https://www.osgf.ge/files/2017/Publications/EU-Georgia_Relations_and_Future_Perspectives.pdf
19. Gherghina, S., & Geissel, B. (2017). Linking Democratic Preferences and Political Participation: Evidence from Germany. *Political Studies*, 65(1_suppl), 24-42, available at <https://doi.org/10.1177/0032321716672224>
20. Giannakopoulos, A. (2019). *Turkey's European Perspectives: Historico-cultural and Political Aspects*.
21. Grigoryan, A. (2015). Concessions or Coercion? How Governments Respond to Restive Ethnic Minorities. *International Security*, 39(4), 170-207, available at https://doi.org/10.1162/ISEC_a_00200
22. Group, P., & Karaaia, T. (2019). *THE OBSTACLES AND BARRIERS WOMEN FACE IN GEORGIAN REALITY*.
23. Gvalia, G., Siroky D., Lebanidze B., and Iashvili Z. (2013). Thinking outside the bloc: explaining the foreign policies of small states. *Soc. Stud.* 22, 98-131, available at doi: 10.1080/09636412.2013.757463
24. Haenlein, M., & Kaplan, A. M. (2004). A beginner's guide to partial least squares analysis. *Understanding Statistics*, 3(4), 283-297.
25. Hajieva, A. (2021). *Voter Turnout of Ethnic Azerbaijani Women in Georgia*. BoD – Books on Demand.
26. Hajiyeva, A., & Javakhishvili, N. (2022), *Social Integration of Ethnic Azerbaijani Women in Georgia*. *Georgian Journal for European Studies* 8-9, 2021-2022, 178-203
27. Hennessy, J. L., & Patterson, D. A. (2011). *Computer architecture: A quantitative approach*. Elsevier.
28. Javakhishvili, N., Butashvili, N., Vardanashvili, I., & Gogibedashvili, A. (2021). Social-Structural Antecedents Come forward to Elicit Envy to Distant Out-Groups. *Frontiers in Psychology*, 12, 1677, available at <https://doi.org/10.3389/fpsyg.2021.610571>
29. Javakhishvili, N. (2021). Identities in the South Caucasus: Still Salient and Contested. In: Adams, B.G., van de Vijver, F.J.R. (eds) *Non-Western Identity. Identity in a Changing World*. Springer, Cham, available at https://doi.org/10.1007/978-3-030-77242-0_7
30. Javakhishvili, N., Tskhadadze, T., Barkaia, M., Jalagania, L., Bendeliani, N. (2020). *Country Gender Equality Profile of Georgia*. UN Women. Georgia. Retrieved from <https://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2020/05/the-country-gender-equality-profile>
31. Kandelaki, S. "Integration of ethnic minorities in Georgia: Barriers to political participation", Policy Paper #16, Georgian Institute of Politics, August 2020.
32. Kamenou, N., & Fearfull, A. (2006). Ethnic minority women: A lost voice in HRM. *Human Resource Management Journal*, 16(2), 154-172.
33. Kobakhidze, R. (2021, January 5). *Georgian Women and Politics*. Europe-Georgia Institute, available at <https://egi.ge/en/georgian-women-and-politics/>
34. Könczöl, M. (2019). How to Rejuvenate European Decision-making? *Central and Eastern European Legal Studies*, 2018(2), 191-210.
35. Kakhishvili, L. (2020). "Do ethnic minorities benefit from Georgia's Europeanization?", Policy Paper #17, Georgian Institute of Politics.
36. Liebert U. (1997), 'The gendering of Euro-skepticism: public discourses and support to the EU in a cross-national comparison'. CEUS Working Paper 1997/1, University of Bremen.

37. Lopez, Alvarez (2013). "From unheard screams to powerful voices: a case study of Women's political activism in the Philippines". 12th National Convention on Statistics (NCS) EDSA Shangri-la Hotel, Mandaluyong City October 1–2, 2013.
38. Mandal, K. C. (2013, May). Concept and Types of Women Activism. In *International Forum of Teaching & Studies* (Vol. 9, No. 2).
39. Mau S. (2010), 'Social Transnationalism: Lifeworlds Beyond the Nation-State'. London: Routledge
40. Mehrabov, I. (2016). Azerbaijani women, online mediatized activism and offline mass mobilization. *Social Sciences*, 5(4), [60], available at <https://doi.org/10.3390/socsci5040060>
41. Mezinova, I., Bodiagin, O., & Medvedkina, Y. (2019). Attitude to the EU integration among Russian Population: Bibliometric, Business-media and Educational Programs Study as an Implication for Educational and Governmental Institutions.
42. Mügge, L. M., van der Pas, D. J., & van de Wardt, M. (2019). Representing their own? Ethnic minority women in the Dutch Parliament. *West European Politics*, 42(4), 705–727.
43. NDI Poll: Georgians Expect Economic Decline and Challenges Ahead, but Remain Steadfast in Their Stated Aim of European and Euro-Atlantic Integration, available at <https://www.ndi.org/publications/ndi-poll-georgians-expect-economic-decline-and-challenges-ahead-remain-steadfast-their>
44. Nelsen B.F. and J.L. Guth (2000), 'Exploring the gender gap: women, men, and public attitudes toward European integration', *European Union Politics* 1(3): 267–291.
45. Noe B. (2016), 'The gender gap in public support for EU integration in the CEE countries. A theoretical overview. *Intersections*', *East European Journal of Society and Politics* 2(4), 152–168, available at DOI:10.17356/ieejsp.v2i4.269.
46. Nunnally, J. C. (1978). *Psychometric Theory* 2nd edition (New York: McGraw).
47. Open Society Fund. (2019). Study of the Participation of Ethnic Minority Representatives in Political Life. Open Society – Georgia Foundation, available at <https://osgf.ge/en/publication/study-of-the-participation-of-ethnic-minority-representatives-in-political-life/>
48. Osipov, V.S., Vagin, S.G., Frantsuzenko, P.S., Frank, E.V., Kucheryavenko, D.M. (2022). Digital Learning as an Innovation in Higher Education and a Mechanism for Increasing Its Attractiveness to Young People. In: Popkova, E.G., Sergi, B.S. (eds) *Digital Education in Russia and Central Asia. Education in the Asia-Pacific Region: Issues, Concerns and Prospects*, vol 65. Springer, Singapore, available at https://doi.org/10.1007/978-981-16-9069-3_28
49. Page, N., & Czuba, C. E. (1999). Activism: What is it. *Journal of extension*, 37(5), 1-5.
50. Panchulidze, E. (2017). Russian Soft Power: Balancing the Propaganda Threats and Challenges. 5, 19.
51. Park, S.-H., & Chung, S. W. (2020). EU perceptions from Korean YouTube videos before and after the Brexit referendum: A semantic network analysis approach. In *Changing Perceptions of the EU at Times of Brexit*. Routledge.
52. Peinhopf, A. (2014). Ethnic minority women in Georgia-facing a double burden?
53. Rahman, S. A., Taghizadeh, S. K., Ramayah, T., & Alam, M. M. D. (2018). Technology acceptance among micro-entrepreneurs in marginalized social strata: The case of social innovation in Bangladesh. *Technological Forecasting and Social Change*, 118, 236-245.
54. Ram, M., & Jones, T. (2008). Ethnic-minority businesses in the UK: A review of research and policy developments. *Environment and Planning C: Government and Policy*, 26(2), 352–374.
55. Roopa, S., & Rani, M. S. (2012). Questionnaire designing for a survey. *Journal of Indian Orthodontic Society*, 46(4_suppl1), 273–277.
56. Sahu, T., & Yadav, K. (2018). Women's education and political participation. *International Journal of Advanced Education and Research*. 3. 65-71, available at 10.22271/educatin.2018.v3.i6.15.
57. Sakharadze, N. (2020). "Ethnic Minorities in the Context of Georgia's European Integration: Is There a Room for Skepticism?", Policy Brief # 30, Georgian Institute of Politics.
58. Samwel, A., & Muradashvili, A. (2021). Why Gender in Georgian Climate Policies? Participation of Civil Society in Georgia's Climate Policy, 11.
59. Schlenker A. (2012), 'Support for the European Union in Central and Eastern Europe before and after accession. Comparing different reasons', *Politique européenne* 3(38): 94–121.

60. Shavtvaladze, M. (2018). The State and Ethnic Minorities: The Case of Georgia. *Region*, 7(1), 43–68.
61. Słomczyński K.M. and G. Shabad (2003), 'Dynamics of support for European integration in post-communist Poland', *European Journal of Political Research* 42(4): 503–539.
62. Szkudlarek, T., & Zamojski, P. (2020). Education and ignorance: between the noun of knowledge and the verb of thinking. *Studies in Philosophy and Education*, 39(6), 577-590. *he Verb of Thinking. Stud Philos Educ* 39, 577–590 (2020), available at <https://doi.org/10.1007/s11217-020-09718-9>
63. Taherdoost, H. (2019). What is the best response scale for survey and questionnaire design; review of different lengths of rating scale/attitude scale/Likert scale. *Hamed Taherdoost*, 1–10.
64. Tchelidze, G., Kardava, E., & Bragvadze, Z. (2021). Raising Attitude to the EU integration in Ethnic Minority Areas—Following the One Example of a Jean Monnet Project “Triangle Effect of European Studies at Schools” (TEESS). *INTERNATIONAL JOURNAL OF MULTILINGUAL EDUCATION*, X, 26–44, available at <https://doi.org/10.22333/ijme.2021.19004>
65. The Institute of Social Studies and Analysis. (2012). Study of Social and Economic Conditions and Attitudes of Kvemo Kartli Population. available at http://issa-georgia.com/files/publications/ENGLISH/sdc/SDC_2011.pdf
66. The Caucasus Research Resource Centers (2021). "Knowledge of and attitudes toward the EU in Georgia". Retrieved through ODA – <http://caucasusbarometer.org> on 29.05.2022.
67. Tracey, P., & Stott, N. (2017). Social innovation: a window on alternative ways of organizing and innovating, available at <https://doi.org/10.17863/CAM.7990>
68. UN WOMEN, (2014). The World Survey on the role of women in development 2014: Gender equality and sustainable development. UN Women – Headquarters, available at <https://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2014/10/world-survey-2014>
69. Vinzi, V. E., Trinchera, L., & Amato, S. (2010). PLS path modeling: From foundations to recent developments and open issues for model assessment and improvement. *Handbook of Partial Least Squares*, 47–82.
70. Warth, L. and Koparanova, M. (2012). Empowering Women for Sustainable Development. Discussion Paper Series, no.2012.1, United Nations Economic Commission for Europe.
71. Wheatley, J. (2009). The integration of national minorities in the Samtskhe-Javakheti and Kvemo Kartli provinces of Georgia.
72. Yılmaz, A. & Öğütçü, Ö.N. (2016). Borçalı Türkleri: Sosyo-Ekonomik Durum, Siyasi Katılım ve Entegrasyon. In *Gürcistan'daki Müslüman Topluluklar: Azınlık Hakları, Kimlik, Siyaset*, edited by Aydın Gün, A., Asker, A. and Yavuz Ş. A. 245–273. Ankara: Terazi.
73. Zhang, L. (2020). Research progress in Chinese perceptions of the EU: A critical review and methodological reflection. *Asia Europe Journal*, 18(1), 17–34, available at <https://doi.org/10.1007/s10308-019-00540-8>
74. დუნდუა, ს. & აბაშიძე, ზ. (2009). ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში. ინტელექტი.

Orcun Caliskan¹

RELIGION'S ROLE IN FOREIGN POLICY: THE GEORGIAN ORTHODOX CHURCH'S ATTITUDE TOWARDS EUROPEAN INTEGRATION AND MINORITIES

ORCID ID: 0000-0002-1482-6423

Abstract

Since its independence in 1991, the Georgian Orthodox Church has become an integral part of both the country and Georgian identity in Georgia. It is considered the most trusted institution in the country according to opinion polls today and many experts attribute this to the fact that the Georgian Orthodox Church has assumed the role of the protector of Georgian national identity throughout different periods in history (Gegeshidze & Mirziashvili, *The Orthodox Church in Georgia's Changing Society*, 2021) (Gegeshidze, et al., 2017). In addition to this popularity, the Georgian Orthodox Church has a special constitutional status in the country which gives several important privileges to conduct its religious and economic activities. However, this public popularity and autonomous status enjoyed by the Georgian Orthodox Church allows the Church to express its views on many political issues and involved in political agenda. In this context, this case-study aims to find out the historical significance of the GOC, why the GOC is deeply rooted in Georgian national identity, the influence of the GOC on social and political issues in the country, and finding out to which extent the GOC's views are compatible with Georgia's European reform process using qualitative research methods. To this end, the study utilizes a wide variety of primary and secondary sources to describe the phenomenon observed in Georgia. Finally, the results of this study are important in terms of understanding the church-state relations in Georgia, showing what the Church can do to protect its interests and what obstacles the Church's views can create in Georgia's European integration process.

Introduction

In recent years, Georgia has carried out important reforms within the scope of agreements with the EU such as the Association Agreement, which includes Deep and Comprehensive Free Trade Area, and visa-liberalization and has become the leading country within the scope of Eastern partnership. With such reforms, Georgia has shown that it has both capacity and will to become a European aspirant country in a region that has been marred by post-Soviet conflicts after the collapse of the Soviet Union. However, one powerful institution in Georgia remains a challenge, even though the EU has granted Georgia a European perspective and announced that the country will get an EU candidate status once it meets the necessary conditions.

The Georgian Orthodox Church has been a significant cultural and spiritual institution in Georgia, with a long and rich history dating back to the 4th century. It has played a central role in the development of Georgian identity and culture and has been a source of national unity and pride for centuries (Bogishvili, Osepashvili, Gavashelishvili, & Gugushvili, 2016, pp. 122-123). The church has also been closely tied to the political and social life of Georgia and has often wielded significant influence in the country. As an autocephalous religious institution, The Georgian Orthodox Church stands out in Georgian society and politics, as it is one of the most respected institutions in Georgia. The Church is often associated with the Georgian national identity and culture. This significant identity of the Georgian Orthodox Church comes from two main sources: History and tradition. Today the Church enjoys constitutional protection, does not pay taxes, and has a saying in the educational system. Due to its significant place in Georgia's history and national identity and its respectable status in Georgian society, the Georgian Orthodox Church is one of the institutions that have considerable weight in Georgian politics.

¹ PhD candidate, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Institute for European Studies, Doctoral Programme in European Studies, Tbilisi, Georgia. E-mail: orcuncaliskan@hotmail.com

The Georgian Orthodox Church's stance on the reforms initiated by Georgia after its involvement in the Eastern Partnership Initiative has consistently raised concerns, given the Church's conservative ideology in contrast to the progressive reforms aligned with Georgia's commitment to European integration. In this context, it is a fact that the law regarding the protection of vulnerable minorities, which was introduced in 2014 within the scope of EU reforms, remains in conflict with the ideology of the church and its view of traditional Georgian family values. While the Church supports Georgia's struggle to become a Western democracy, it also clearly reveals its opposing stance on the issue saying that Georgia should not abandon its traditional values or replace them with others in this process.

To this day, the Georgian political leadership has refrained from a direct confrontation with the Church, even in the face of the Church openly criticizing the government's reforms linked to its commitments to European integration. Given the Church's significant popularity and sway over Georgian society, politicians in Georgia typically strive to garner the Church's support as a means of legitimizing their political initiatives in the country.

In this context, the main objective of the paper is to find out whether the Georgian Orthodox Church constitutes a significant obstacle for Georgia's European reform agenda. Secondly, the paper also aims at exploring the historical and cultural significance of the GOC, its interwoven relation with Georgian identity, how the GOC has become so influential in Georgia's social and political affairs and how it interacts with the political establishment in Georgia. Moreover, the study's endeavor to address the research questions also adds value by making a meaningful contribution to the existing literature on the political and societal role of the Georgian Orthodox Church (GOC) in Georgia.

The study consists of three sections and it is structured as follows. In the first part, we introduce the study and its aims and objectives in addition to the relevant research questions and follow with research design, methodology, theoretical framework, and relevant literature review. The second part of the study will focus on the historical analysis of the GOC and its significance and role in Georgia's society as well as domestic politics in which we try to understand how the GOC has become the symbol of Georgian national identity. In the third part, we will examine the attitude of the Georgian Orthodox Church towards the reforms carried out by Georgia in line with its aims of improving its bilateral relations with the EU in the past decade, and we will analyze the dilemma created by this ideological incompatibility in Georgian politics and society. Lastly, the study will be concluded with our findings and recommendations regarding the GOC's future conflicting role in Georgia's politics and its recently confirmed European path by the European Union.

Theoretical Framework

The theoretical framework of this study derives from the influence of religious beliefs on political decision-making: Religion can shape the values and priorities of policymakers, influencing how they view and approach foreign policy issues. A theoretical framework for examining the role of religion in foreign policy could be based on the idea that religion plays a significant role in shaping international relations and that it can serve as a source of conflict or cooperation.

თანამედროვე მსოფლიოში პროპაგანდა ერთი-ერთი აქტუალური საკითხია. იგი გახდა მიზნის მისაღწევად ფართოდ გამოყენებული ისეთი მექანიზმი, რომელსაც კონკრეტული მიზნის მიღწევა ძალადობრივი მეთოდების გამოყენების გარეშე შეუძლია.

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა საქართველოში და გამოავლინოს ამ მიმართულებით გამოყენებული სტრატეგიები. ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა დიდი ხანია აქტუალური თემაა საქართველოში, თუმცა, საკითხი უფრო მწვავე გახდა ევროკავშირის წევრობის განაცხადის წარდგენის შემდეგ. საქართველოში ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა ძირითადად შესწავლილია ანტი-დასავლური პროპაგანდის კონტექსტში. წინა კვლევებში შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა პროპაგანდის ხერხებს. შესაბამისად, ნაკლებად არის გამოკვეთილი ხალხის აზროვნებაზე პროპაგანდის ზეგავლენის ფაქტორი. ასევე, არ არის შემოთავაზებული მედია სააგენტოების შედარებითი სისტემური ანალიზი.

იმისათვის, რომ მოცემული ფაქტორები გათვალისწინებულ იქნეს, ნაშრომში წამოჭრილია შემდეგი საკვლევო კითხვები: 1. რომელია საქინფოხიმისა და საქაჩთველოსა და მსოფლიოს სტატიებში ევროკავშირთან მიმართებით ყველაზე ხშირად გამოყენებული თემები? 2. შეიცავს თუ არა ეს სტატიები

¹ მეგი ჯალაღონია- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროპისმცოდნეობის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული. სტატია შექმნილია ამავე სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომის საფუძველზე. ხელმძღვანელი: დანიელა ურსე, ელექტრონული ფოსტა: megijalaghonia@yahoo.com

რაიმე სახის პროპაგანდისტულ ხერხებს და ასეთის არსებობის შემთხვევაში რომელია ეს ხერხები? 3. რა განსხვავება/მსგავსებაა საქინფოხმსა და საქაიხთვედოსა და მსოფლიოს შორის გამოყენებული თემებისა და ხერხების მხრივ?

ნაშრომის შესაძლებლობის ფარგლებს სცდება ზემოთხსენებული მედია სააგენტოების ყველა სტატიის ანალიზი. ასევე, მხოლოდ ორ მედია სააგენტოზე კონცენტრირება ნათლად ვერ წარმოგვიდგენს მთლიან სურათს. თუმცა, სხვა მედია სააგენტოების მასალის შესწავლა სამომავლო კვლევის საგნად მოიაზრება.

1. თეორიული ჩარჩო

პროპაგანდის თეორიული მექანიზმი ჯოუეტისა და ო'დონელის მიერ ახსნილია 'პროპაგანდის მიზნობრივი მოდელის' საშუალებით. ავტორები განიხილავენ 'დარწმუნების' პრაქტიკას, რომელიც სამი ტიპის 'რეაქციას' მოიცავს: *ხეაქციის ფოხმიხება* – პროცესი, როდესაც 'მარწმუნებელი' ცდილობს აღმოჩნდეს ინსტრუქტორის პოზიციაში. *ხეაქციის გაძლიერება* – ეს პროცესი ხდება მაშინ, როდესაც 'მარწმუნებელი' მასისგან სასურველ რეაქციას იღებს, თუმცა, შემდგომი ნაბიჯებია საჭირო მიღებული შედეგის შესანარჩუნებლად. *ხეაქციის ცვლილება* მიიჩნევა ყველაზე რთულად მისაღწევ მიზნად, რამდენადაც იგი მოიცავს აზროვნების ერთი პოლუსიდან მეორეზე 'ცვლილების' პროცესს.²

გარდა ამ მოდელისა, პროპაგანდა, ასევე, განხილულია მისი სპეციფიკის გათვალისწინებით. დუგლას უოლტონი მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ პროპაგანდა არის „ხელსაყრელი ფიქცია“.³

უოლტონის თანახმად, არსებობს პროპაგანდის ათი ტიპური მახასიათებელი:⁴

1. *ღიადოგუი სტრუქტურა*. პროპაგანდა არის 'დისკურსი' ორ მხარეს შორის – *გამგზავნი* და *მიმღები*. მისი სტრუქტურა დამოკიდებულია *გამგზავნის* ქმედებებზე, რომელსაც *მიმღები* აფასებს.
2. *გზავნილის შინაახსი*. *გამგზავნი* ქმნის არგუმენტებს, რომლებიც გამოხატულია სხვადასხვაგვარად – ვერბალურ და არავერბალურ ფორმებში, ან მათი კომბინაციით.
3. *მიზანმიმართული სტრუქტურა*. *გამგზავნის* მიზანია მიიღოს სასურველი რეაქცია ან აიძულოს *მიმღები* შეასრულოს ნაკარნახევი მოქმედებები.
4. *სოციალური ჯგუფების ჩახთვობა*. ზოგიერთ შემთხვევაში პროპაგანდა გამოიყენება გარკვეული ინდივიდების მიერ, მაგრამ ისინი რეალურად სხვის პოზიციას ასახავენ.
5. *დოგმატური მსჯელობის უგულებელყოფა*. მსჯელობის ლოგიკური თანმიმდევრობა პროპაგანდისთვის არ არის დამახასიათებელი. *გამგზავნი* იყენებს დისკურსს, რომელიც ლოგიკურად მართებული არ არის, მაგრამ ხალხზე უკეთესი ეფექტის მოხდენა შეუძლია.
6. *სუბიექტური ახგუმენტაცია*. *გამგზავნი* მიუკერძოებელი დასკვნების ნაცვლად არგუმენტებს თავის სასარგებლოდ აყენებს.
7. *დამაჯეხებელი საუბრის ჩახთვა*. პროპაგანდის მთავარი მიზანია აიძულოს ხალხი გამოხატოს რეაქცია. ამ გეგმის ქრილში, დარწმუნება გამოიყენება „მეორეულ, თუმცა მთავარ იარაღად“ სასურველი ეფექტის მისაღებად.
8. *გამახთვება შედეგით*. ვინაიდან პროპაგანდის მიზანი სასურველი ეფექტის მიღწევაა, პროპაგანდისტები საკუთარ ქმედებას ამართლებენ „ჯგუფის მიმართ არსებული საფრთხით და შემდეგ იმის მტკიცებით, რომ გარკვეული ზომის მიღება არის საჭირო ხსენებული საფრთხის აღსაკვეთად ან მისგან თავის დასაცავად.“
9. *ემოციური ენა და დამაჯეხებელი განმახგებები*. პროპაგანდა ლექსიკური ერთეულების კონოტაციურ ასპექტს გარკვეული პოზიციის გასაძლიერებლად იყენებს. რაც შეეხება დამაჯერებელ განმარტებას, მისი მიზანია წარმოაჩინოს საკითხი ნეგატიურად ან პოზიტიურად მისი თავდაპირველი მნიშვნელობისგან გადახვევით.
10. *პოლემიკური ასპექტი*. პროპაგანდა იღებს დებატის ფორმას, ამტკიცებს რა, რომ იგი ებრძვის ბოროტს (შესაბამისად, ქმნის დიქტომიას – 'კაჩი' 'ცუდის' წინააღმდეგ).

² Gareth S. Jowett and Victoria O'Donnell, *Propaganda and Persuasion* (Washington DC: SAGE Publications, 2012), 33-35.

³ Douglas Walton, "What is Propaganda, and What is Wrong with it?," *Public Affairs Quarterly* 11, no. 4 (1997): 409.

⁴ იქვე, 396-400.

გარდა ამ მახასიათებლებისა, უოლტონი მარლინის მიერ გამოკვეთილ თავისებურებებზეც ამხვილებს ყურადღებას, როგორცაა ფოტომონტაჟი და ოჩკესტიჩიება (სხვადასხვა სააგენტოს მიერ ერთი და იმავე გზავნილის გავრცელება).⁵

ჟაკ ელული აგიტაციის პროპაგანდას ახასიათებს, როგორც ფენომენს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ნაკლებად განათლებულ ნაწილზე.⁶ სხვა ტიპებია – *ხაციონადუხი* და *ახახაციონადუხი პროპაგანდა*. ინფორმაცია (მიუხედავად მისი სიზუსტისა) შესაძლოა *ხაციონადუხი პროპაგანდის* საგანი გახდეს, თუ იგი გარკვეული რეჟიმის უპირატესობის ჩვენებას ემსახურება. *იხაციონადუხი პროპაგანდა* კი ხალხის ყურადღებას მიმართავს ემოციებზე და არა ინფორმაციაზე.⁷

ჯოუეთი და ო'დონელი სამი სახის პროპაგანდას გამოყოფენ: *თეთი*, *შავი* და *ხუხი*. *თეთი პროპაგანდა* მომდინარეობს ნაცნობი წყაროდან. *შავი პროპაგანდის* წყარო, პირიქით, უცნობია. *ხუხი პროპაგანდა* კი იზიარებს როგორც *შავი*, ისე *თეთი პროპაგანდის* გარკვეულ მახასიათებლებს, კერძოდ, მისი წარმომავლობა ყოველთვის არ არის ცნობილი.⁸

გასათვალისწინებელია კრემლის პროპაგანდის თავისებურებებიც, როგორცაა *დაბეჯდების შექმნა*, ე.წ. *“მასკიოვკა”* და *აქტიუხი ზომები*. *დაბეჯდების შექმნა* მიემართება რამდენიმე სააგენტოს საერთო მიზნისთვის გამოყენებას.⁹ ე.წ. *“მასკიოვკა”* ოსტატური ტყუილების ტექნიკის გამოყენებას აღნიშნავს.¹⁰ *აქტიუხი ზომები* კი ექსპერტების ჩართულობას გულისხმობს, რომლებიც „პირდაპირი მნიშვნელობით არ არიან ექსპერტები, მაგრამ აჟღერებენ, ამართლებენ და იცავენ იმ პოზიციებს, რომლებიც კრემლის ნარატივთან არის შესაბამისობაში“.¹¹ კრემლის პროპაგანდა აღქმულია როგორც: *დიდი მოცულობის, სწრაფი, უწყვეტი, განმეორებადი, ობიექტუხი ჰეაღობას მოწყვეტილი და თანმიმდევრულობას მოკლებული*. გამოყენებული ტაქტიკები ეყრდნობა ე.წ. *‘4-D მიდგომა’*: *კიტიკის უკუგდება, ფაქტების დამახინჯება, მთავარი საკითხიდან გადახვევა და აუდიტორიის შეშინება*.¹²

წარმოდგენილი თეორიული ჩარჩო დაგვეხმარება საქართველოში ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდის მახასიათებლებისა და მასშტაბის გარკვევაში.

2. მეთოდოლოგია

კვლევა ეყრდნობა შინააქსის ანალიზს. ნაშრომი აერთიანებს *ხაოგენობიკი* და *თვისობიკი* შინააქსის ანალიზს. არსებობს მოსაზრება, რომ ეს უკანასკნელი კონცენტრირდება მხოლოდ შინაარსზე და არა კონკრეტულ ინფორმაციათა ‘განზრახვაზე’.¹³ იმისთვის, რომ დავინახოთ ‘განზრახვა’ *თვისობიკი* შინააქსის ანალიზთან ერთად გამოვიყენებთ *დისკუხის კიტიკურ ანალიზს*.

რაც შეეხება საკვლევ მასალას, არჩეულია ორი მედია სააგენტო *“საქინფორმი”* და *“საქახთვერო და მსოფლიო”*. ორივე მათგანის დომენის მფლობელია პრო-კრემლისტური ორგანიზაციის, *“ისტორიული მემკვიდრეობა”*, დამფუძნებელი ტარას გაგნიძე.¹⁴ *მედიის განვითარების ფონდის* თანახმად (2020), *საქახთვერო და მსოფლიო* პირველ ადგილს იკავებს პროპაგანდის წყაროებს შორის, ხოლო *საქინფორმი* – მეორე ადგილს.¹⁵ ჩვენ მიერ გაანალიზებული პერიოდი მოიცავს 2021 წლის ყოველი თვის ბოლო კვირას. 2021 წელი არჩეულია იმ მიზეზით, რომ იგი ჯერჯერობით არ არის გამოკვლეული. რაც შეეხება ყოველი თვის ბოლო კვირის სტატიებზე კონცენტრირებას, ჩვენი დაკვირვებით, სააგენტოები, სწო-

⁵ Douglas Walton, “What is Propaganda, and What is Wrong with it?,” 400.

⁶ Jacques Ellul, trans., Propaganda: The Formation of Men's Attitudes (New York: Vintage Books, 1973), 74.

⁷ იქვე, 84-86.

⁸ Gareth S. Jowett and Victoria O'Donnell, Propaganda and Persuasion, 17-20.

⁹ John B. Whitton, “Cold War Propaganda,” The American Journal of International Law 45, no. 1 (1951): 151.

¹⁰ Nicholas J. Cull et al., “Soviet Subversion, Disinformation and Propaganda: How the West Fought Against it An Analytical History, with Lessons for the Present,” London School of Economics and Political Science (2017): 18.

¹¹ Irakli Sirbiladze, “Russia's Disinformation Campaigns in Georgia: A Study of State and Civil Society Response,” PMC Research Center (2019): 15.

¹² Irakli Sirbiladze, “Russia's Disinformation Campaigns in Georgia: A Study of State and Civil Society Response,” 16.

¹³ E. Bardach-Yalov, “Analyzing Russian Propaganda: Application of Siegfried Kracauer's Qualitative Content Analysis Method,” Journal of Information Warfare 11, no. 2 (2012): 26.

¹⁴ „საქინფორმი“, მითების დეტექტორი, 7 ივნისი, 2017, ნანახია: 9 მარტი, 2022, <https://mythdetector.ge/ka/profiles/saqinphormi/>

¹⁵ Tamar Kintsurashvili, “Anti-Western Propaganda 2020,” Media Development Foundation (2021), 22.

რედ, ამ პერიოდში აქვეყნებენ დიდი რაოდენობით სტატიებს. საკვლევია მასალა მოიცავს 191 სტატიას, 128 სტატია ეკუთვნის საქინფოხმს, ხოლო 63 – საქათველოსა და მსოფლიოს.


3. კვლევის შედეგები

3.1. საქინფოხმის სტატიებში გამოვლენილი თემები

2021 წლის ყოველი თვის ბოლო კვირის განმავლობაში საქინფოხმა ჯამში 128 სტატია გამოაქვეყნა;¹⁶ თუმცა პროპაგანდისტული ხერხები გამოვლინდა 22 სტატიაში.¹⁷

ვარგძლებით რა რაოდენობრივი მონაცემების განხილვას, ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ სტატიებში ყველაზე ხშირად გამოყენებულ ხუთ სიტყვაზე. ესენია: 'საქართველო', 'ევროკავშირი', 'რუსეთი', 'სააკაშვილი' და 'ევროპა'. 'საქართველო' და 'რუსეთი', ნახსენებია დადებით ან ნეიტრალურ კონტექსტში; ხოლო 'ევროკავშირი', 'სააკაშვილი' და 'ევროპა' ნეგატიურ კონტექსტში. დიაგრამა 3.1 ასახავს სიტყვათა სიხშირეს.

დიაგრამა 3.1: სიტყვების სიხშირე (საქინფოხმი)



სტატიებზე დაკვირვებამ გამოავლინა თემები, რომლებიც შეგვიძლია დავაჯგუფოთ შემდეგნაირად:

11. დასავლეთი, როგორც სუსტი ძალა
12. დასავლური ვაქცინების არასანდოობა
13. დასავლეთი აიძულებს საქართველოს, რომ რუსეთს ეომოს
14. ევროკავშირი არ აძლევს თურქეთს ნებას, გახდეს გაერთიანების წევრი
15. საქართველოს მოქალაქეები დამცირებული არიან დასავლეთში
16. ევროპა ხელს უწყობს ჰომოსექსუალიზმს
17. ასოცირებული ტრიოს დაარსება ნეგატიური მოვლენაა
18. საქართველოს თანამშრომლობა რუსეთთან საქართველოს გაერთიანებაში გადაიზრდება
19. ევროკავშირი პასუხისმგებელია საქართველოში არჩევნების დროს ესკალაციაზე
20. შარლ მიშელის დოკუმენტი არ არის სარგებლის მომტანი საქართველოსთვის
21. დასავლეთი ავლენს მიკერძოებას ოპოზიციური პარტიების მიმართ საქართველოში
22. დასავლეთი თავად უწყობს ხელს საკუთარი თავისადმი ნეგატიური განწყობის შექმნას საქართველოში
23. ევროპული გზის ამაოება

¹⁶ სტატიების რეალური რაოდენობაა 141, თუმცა 141 სტატიიდან 13 მისაწვდომია ორჯერ.

¹⁷ ასეთი სტატიების რეალური რაოდენობაა 35, თუმცა 13 სტატიის მისაწვდომია ორჯერ.

შეუთავსებლობას საქართველოს სოციალურ რეალობასა და საშინაო საქმეებთან. აღნიშნული თემატიკა გამოყენებულია სხვა ნარატივის გასაძლიერებლადაც, რომლის თანახმადაც, მსგავსი ქმედებებით ევროკავშირი (დასავლეთი) თავად უწყობს ხელს მის მიმართ ნეგატიური აზრის გავლივებს.

რაც შეეხება უშუალოდ ევროკავშირთან დაკავშირებულ თემებს, გხვდება სტატიები ევროკავშირისა და თურქეთის ურთიერთობაზე. ეს კურსი გაგრძელებულია ევროკავშირისთვის პასუხიმგებლობის დაკისრებით საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ქაოსზე. ევროპული გეზი წარმოდგენილია, როგორც წამგებიანი მოვლენა. აღნიშნული თემების წამოწვევის მთავარი მიზანი კი, ცალსახად, მოსახლეობაში სკეპტიკური დამოკიდებულების გავრცელებაა.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ამ თემების მიზანია ევროკავშირის (დასავლეთის) როლის გაუფასურება და რუსეთის წარმოჩენა, როგორც ევროკავშირის (დასავლეთის) მიერ წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზისა.

3.2 საქინფოჰმის სტატიებში გამოყენებული პროპაგანდისტული ხერხები

3.2.1 ემოციური ენა

პირველი ხერხი წარმოადგენს ემოციურად დატვირთული სიტყვების გამოყენებას. ამ კატეგორიაში გაერთიანებული ლექსიკური ერთეულები ძირითადად ნეგატიურ ასოციაციას იწვევენ. ამ ხერხის პირველი კატეგორია მოიცავს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობაში მთავარი ფიგურების დახასიათებას (ინდივიდუალიზაცია). მეორე კატეგორია კი არაპირდაპირ და პირდაპირ მითითებებს ევროკავშირზე.

პირველი კატეგორია ეხება ისეთ მნიშვნელოვან ფიგურებს, როგორცაა: კარლ ჰარცელი (ევროკავშირის ელჩი საქართველოში), შარლ მიშელი (ევროპული საბჭოს პრეზიდენტი), თამარ კინწურაშვილი (მედიის განვითარების ფონდის დირექტორი), სალომე ზურაბიშვილი, მაია სანდუ და ვოლოდიმირ ზელენსკი. კარლ ჰარცელი წარმოდგენილია, როგორც არაკომპეტენტური პირი.¹⁹ თავის მხრივ, შარლ მიშელის მედიაცია შეფასებულია, როგორც საქართველოს სურვილის საწინააღმდეგო მოვლენა,²⁰ რაც რასაკვირველია შარლ მიშელის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების გავლივებს ემსახურება. თამარ კინწურაშვილი ამ ხერხის სამიზნე გახდა თავისი კვლევის სფეროს გამო – ანტი-დასავლური პროპაგანდა საქართველოში. მისი საქმიანობის გაუფერულების მიზნით მისი ანგარიშები მოხსენიებულია როგორც ‘სისულელე’.²¹ ოდნავ განსხვავებული ასახვა შეიმჩნევა პრეზიდენტების შემთხვევაში, ისინი ბათუმის საერთაშორისო კონფერენციის ქრილში არიან წარმოჩენილი.²² მათი ნეგატიური ასახვა იჩონიას მიმართავს ასოცირებული ტრიოსადმი მიძღვნილი კონფერენციისკენ პროექტის ღირებულების დასაკნინებლად (კოდექტივიზაცია).

მეორე კატეგორია მოიცავს ევროკავშირის პირდაპირ და არაპირდაპირ ხსენებას. არაპირდაპირ შემთხვევაში ევრო-ატლანტიკური მიმართულება მოხსენიებულია, როგორც „უცხო ევრო-ატლანტიკური ოჯახი.“²³ ეს ერთი შეხედვით მარტივი გამონათქვამი ამ პოლიტიკური მიმართულებისა და სა-

¹⁹ „თურქეთი არ გაუშვებს საქართველოს ევროკავშირში, ანუ რატომ შეადარა ევროკავშირის ელჩმა ჰარცელმა საქართველო ბალისტიკურ რაკეტას, რომელიც ცაში ვერ აიჭრა – საქინფორმი“, საქინფორმი, 31 მაისი, 2021, ნანახია: 13 მარტი, 2022, <http://saqinform.ge/news/50888/Turqeti+ar+gaushvebs+saqarTvelos+evrokavshirshi%2C+anu+ratom+sheadara+evrokavshiris+elchma+arcelma+saqarTvelo+balistikur+raketas%2C+romelic+cashi+ver+aiWra++saqinformi.html>

²⁰ არნო ხიდირბეგიშვილი, „არნო ხიდირბეგიშვილი: რატომ გაფრინდა ვაშაძე კიევში, გახარია კი ვენაში, რატომ იხდის ართურნიანი უვადო პატიმრობას, სააკიანი კი თავისუფლებაზე“, საქინფორმი, 27 სექტემბერი, 2021, ნანახია: 16 მარტი, 2022, <http://saqinform.ge/news/52306/arno+xidirbegishvili%3A+ratom+gafrinda+vashaZe+kievshi%2C+gaxaria+ki+venashi%2C+ratom+ixdis+aruTuniani+uvado+patimrobas%2C+saakiani+ki+Tavisuflebasea.html>

²¹ იქვე.

²² არნო ხიდირბეგიშვილი, „საქართველო-ევროკავშირი: წარმოსვლა სიყვარული, დაშთა ოდენ ევრო! – არნო ხიდირბეგიშვილი, საქინფორმი.

²³ არნო ხიდირბეგიშვილი, „არნო ხიდირბეგიშვილი: ვის მოუწოდა პუტინმა „გაანალიზონ თავისი საქციელი“ და რატომ უბიძგებენ უკრაინასა და საქართველოს რუსეთთან შეარაღებული კონფლიქტისკენ“, საქინფორმი, 27 დეკემბერი, 2021, ნანახია: 18 მარტი, 2022, <http://saqinform.ge/news/53435/arno+xidirbegishvili%3A+vis+mouwoda+putinma+%E2%80%9Egaaanalizon+Tavisi+saqiceli%E2%80%9C+da+ratom+ubiZgeben+ukrainasa+da+saqarTvelos+ruseTTan+sheiaraRebuli+konfliqtisken.html>

ქართველოს გაუცხოებაზე მინიშნებას ისახავს მიზნად. მეტიც, თავად ევროკავშირი ირონიულადაა დახატული – „საქართველო-ევროკავშირი: წარიღტვა სიყვარული, დაშთა ოდენ ევრო!“²⁴ სტატიის სათაურში შესამჩნევია კოდების გადახტვა ახალ და ძველ ქართულ ენას შორის, რაც ემსახურება მკითხველის ყურადღების მიქცევას და იხოინის, როგორც ზეგავლენის საშუალების შემოყვანას.

ემოციური ენის მთავარი ხაზი ეყრდნობა შეუთავსებლობის საკითხის ჩვენებას. სააგენტო ცდილობს, მთავარი ფიგურების ნეგატიური ასახვით შეასუსტოს მათი როლი. ლექსიკური ერთეულები ნეგატიური კონოტაციის მატარებელია, რაც კანტრილის მიერ გამოვლენილ პროპაგანდის მახასიათებელს ეხმიანება – სიტყვების ძალა, რაც პროპაგანდას ტრიუმფალურს ხდის.²⁵

3.2.2 პოლემიკური ასპექტი

გარდა ენობრივი საკითხებისა, სტატიების ანალიზმა ასევე გამოავლინა – პოდემიკური ასპექტი ‘კა-ხგისა’ და ‘ცუდის’ დაპირისპირების სახით. მსგავსი მაგალითია ევრაზიის კავშირისა და ევროკავშირის შორის განსხვავების ჩვენების მცდელობა: „ევრაზიული კავშირის ქვეყნებში პრიორიტეტი ტრადიციული რელიგიებია, რომლებზეც სექსუალური უმცირესობების პროპაგანდა არ პრევალირებს.“²⁶ განსხვავება ნაჩვენებია რელიგიური და სექსუალური უმცირესობების საკითხით, რაც ზრდის გავლენის მასშტაბს.

ამგვარად, ზემოთ ნახსენებ მაგალითში ‘კაჩგ’ მოვლენად წარმოდგენილია ევრაზიის კავშირი, ხოლო ‘ცუდად’ – ევროკავშირი.

3.2.3 სუბიექტური არგუმენტაცია

მესამე ხერხი არის მოვლენათა სუბიექტური ასახვა. მსგავსი შემთხვევა ჩვენ მიერ განხილულ სტატიებში დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კერძოდ, სტატიებში ჰომოსექსუალიზმში გამოცხადებულია ევროკავშირის მთავარ ღირებულებად;²⁷ ლისაბონის ხელშეკრულებაში კი, ევროკავშირის ღირებულებები შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული – „ადამიანის ღირსებისადმი პატივისცემა, თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების პატივისცემა, მათ შორის, უმცირესობებს მიკუთვნებული ადამიანების უფლებებისა.“²⁸ ეს ასპექტი შეიძლება მიუახლოვდეს ხელსაყხედ ფიქციას, რადგან ეყრდნობა არგუმენტს, რომელიც თავად ავტორის მიერ არის შექმნილი მკითხველის დასარწმუნებლად.

ამ ხერხის მაგალითების გაანალიზების შედეგად გამოჩნდა, რომ მედია სააგენტო განზრახ არიდებს თავს სრული სურათის მიწოდებას მკითხველთა შეცდომაში შეყვანის მიზნით.

3.2.4 ლოგიკური მსჯელობის უგულებელყოფა

სტატიებში იდენტიფიცირებული მეოთხე ხერხია დოგმატური მსჯელობის უგულებელყოფა. მაგალითები, რომლებიც ამ კატეგორიაში მოხვდა არ აკმაყოფილებს ლოგიკური ჯაჭვის მიმდევრობის კრიტერიუმს. ეს არის კრემლის პროპაგანდის მსგავსი მახასიათებელი, რომელიც კრისტოფერ პოლთან და მირიამ მეთიუსთან დახასიათებულია, როგორც ობიექტუხ ჰედობას მოწყვეტილობა.²⁹

ამ ხერხის ერთ-ერთი მაგალითი ეხება კარლ ჰარცელს. სტატია სვამს კითხვას, რომ კარლ ჰარცელმა შესაძლოა იგულისხმა თურქეთი, როდესაც მან საქართველო შეადარა „ბალისტიკურ რაკეტას, რომელიც ცაში ვერ აიჭრა“.³⁰ ეს კითხვა სათაურშივეა პასუხგაცემული (ჩიგოჩიკური შეკითხვა) – „თურქე-

²⁴ არნო ხიდირბეგიშვილი, „საქართველო-ევროკავშირი: წარიღტვა სიყვარული, დაშთა ოდენ ევრო! – არნო ხიდირბეგიშვილი“, საქინფორმი.

²⁵ Handley Cantril, „Propaganda Analysis,“ The English Journal 27, no. 3 (1938): 219.

²⁶ არნო ხიდირბეგიშვილი, „საქართველო-ევროკავშირი: წარიღტვა სიყვარული, დაშთა ოდენ ევრო! – არნო ხიდირბეგიშვილი“, საქინფორმი.

²⁷ იქვე.

²⁸ „Treaty of Lisbon Amending the Treaty on European Union and the Treaty Establishing the European Community,“ Official Journal of the European Union, December 17, 2007, accessed February 5, 2022, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A12007L%2FTXT>

²⁹ Christopher Paul and Miriam Matthews, 2016, apud Irakli Sirbiladze, „Russia’s Disinformation Campaigns in Georgia: A Study of State and Civil Society Response“, 16.

³⁰ „თურქეთი არ გაუშვებს საქართველოს ევროკავშირში, ანუ რატომ შეადარა ევროკავშირის ელჩმა ჰარცელმა საქართველო ბალისტიკურ რაკეტას, რომელიც ცაში ვერ აიჭრა – საქინფორმი“, საქინფორმი.

თი არ გაუშვებს საქართველოს ევროკავშირში, ანუ რატომ შეადარა ევროკავშირის ელჩმა ჰარცელმა საქართველო ბალისტიკურ რაკეტას, რომელიც ცაში ვერ აიჭრა.³¹ მეორე მხრივ, კარლ ჰარცელი თავის გამოსვლაში ბარიერების მიზეზებად ასახელებს „პანდემიასა და გაზრდილ გამოწვევებს რეგიონში“.³² ის არ ასახელებს თურქეთს, როგორც საქართველოს ინტეგრაციის დაბრკოლებას. შესაბამისად, ავტორი იყენებს მტკიცებით წინადადებას ისეთი ფაქტის საჩვენებლად, რომელიც დადასტურებული არ არის.

ამრიგად, *დოგოკუხი მსჯელობის უგულებელყოფის (ობიექტუხი ხეალობას მოწყვეტილობა)* მიზანია, მკითხველი დაარწმუნოს ევროინტეგრაციის შეუძლებლობაში.

3.2.5 დიალოგური სტრუქტურა

ღიადოგუხი სტრუქტურა პროპაგანდის იმ მახასიათებელთაგანია, რომელსაც ხალხის აზროვნებაზე გავლენის მოხდენა შეუძლია. ამ ხერხის მაგალითები მოიცავს მკითხველისადმი შემდეგ მიმართვებს – „მეგობრებო და არამეგობრებო!“³³ „ერთი მითხარით, რა საჭირო იყო ასოცირებული ტრიოს შექმნა...?“³⁴

მსგავსი კონსტრუქციების მიზანია მკითხველთან მჭიდრო ურთიერთობის შენარჩუნება და იმის ხაზგასმა, რომ *საქინფორმის* მიერ გამოქვეყნებული სტატიები სარგებლის მომტანია ნებისმიერი მკითხველისთვის მიუხედავად ამ უკანასკნელის სიმპათიისა სააგენტოს მიმართ (არამეგობრებო).

3.2.6 ორკესტრირება

ეს კატეგორია, ჩვენს შემთხვევაში, მოიცავს *საქინფორმის*, *სპუტნიკისა* და *ნიუს ფიონტის* იდენტურ სტატიებს. მაგალითებმა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ისინი ასახავენ რუსი ოფიციალური პირების პოზიციას.³⁵

უფრო მეტიც, *ნიუს ფიონტი* ითვლება აქტიურ მოთამაშედ დებინფორმაციის გავრცელებაში.³⁶ *სპუტნიკი* კი ფინანსდება და იმართება რუსეთის მიერ.³⁷ როგორც ჩანს, მედია სააგენტო ეყრდნობა პრო-რუსულ მედია საშუალებებს.

სხვა მედია სააგენტოებზე დაყრდნობის ფაქტის შემჩნევა გვეხმარება არა მხოლოდ წყაროს იდენტიფიცირებაში, არამედ, თეორიულ დონეზე, იგი გვაჩვენებს *თეთხი პიოპაგანდის* ნიშნებს – პროპაგა-

³¹ იქვე.

³² „ევროკავშირის ელჩის, კარლ ჰარცელის მისასალმებელი სიტყვა საქართველოს მთავრობისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის ერთობლივ კონფერენციაზე“, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში, 27 მაისი, 2021, ნანახია: 13 მარტი, 2022, https://eeas.europa.eu/delegations/angola/99151/%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A-%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97_ka

³³ არნო ხიდირბეგიშვილი, „არნო ხიდირბეგიშვილი: რუსული პური კარგია, რუსული ვაქცინა – ცუდი?“, საქინფორმი, 30 მარტი, 2021, ნანახია: 11 მარტი, 2022, <http://saqinform.ge/news/50194/arno+xidirbegishvili%3A+russuli+puri+kargia%2C+russuli+vaqcina+-+cudi%3F%21.html>

³⁴ არნო ხიდირბეგიშვილი, „საქართველო-ევროკავშირი: ნარილტვა სიყვარული, დაშთა ოდენ ევრო! – არნო ხიდირბეგიშვილი“, საქინფორმი.

³⁵ „სერგეი ლავროვი: არამეგობრული სახელმწიფოების სიაში ქვეყნებს განურჩევლად არ შევიყვანო“, საქინფორმი, 29 აპრილი, 2021, ნანახია: 12 მარტი, 2022, <http://saqinform.ge/news/50548/sergei+lavrovi%3A+aramegobrusli+saxelmwifoebis+siashi+qveynebs+ganurchevrad+ar+sheviyvanT.html>

³⁶ იაკობ ლაჩაშვილი და სხვანი, „პრორუსული და ანტიდასავლური დებინფორმაციისა და პროპაგანდის წლიური ანგარიში“, საქართველოს რეფორმების ასოციაცია (2020): 53.

³⁷ „Report: RT and Sputnik’s role in Russia’s Disinformation and Propaganda Ecosystem,“ U.S. Department of State, January 20, 2022, accessed March 12, 2022, <https://www.state.gov/report-rt-and-sputniks-role-in-russias-disinformation-and-propaganda-ecosystem/>

ნდა, რომელიც მომდინარეობს ნაცნობი წყაროდან.³⁸ შემდგომში ეს ფენომენი გაიგივებული იქნება ცნებასთან კრემლის პროპაგანდაში – დაბეჭდვების შექმნა, რამდენიმე მედია სააგენტოს ერთი მიზნისთვის გამოყენების გამო.³⁹

ამრიგად, მედია სააგენტო ეყრდნობა პრო-რუსულ მედია კომპანიებს და ერთდროულად ავლენს ოპოზიციურ ძალებს, თეთრი პროპაგანდისა და დაბეჭდვების შექმნის შემთხვევებს.

3.2.7 მიზანმიმართული სტრუქტურა

ეს ხერხი აღწერს ისეთ მოვლენებს, რომლებიც გარკვეულ მიზანს ემსახურება. ზემოთ ხსენებული მაგალითებიც ამ მხრივაც საყურადღებო. თეორიულ დონეზე, ეფექტი მიიღწევა *ჰაციონალური პროპაგანდით* – ინფორმაცია ზუსტია (ასახულია რუსი ოფიციალური პირების ინტერვიუ), თუმცა, გამოყენებულია კონკრეტული მიზნის მისაღწევად.⁴⁰ ამ შემთხვევაში მიზანი არის რუსი ოფიციალური პირების პოზიციის პოპულარიზაცია საქართველოში.

3.2.8 ფოტომონტაჟი

სტატიების ანალიზმა გამოავლინა ფოტოების, როგორც პროპაგანდის ხერხად გამოყენების მაგალითები. აღნიშნული, მაგალითად, ჩანს სტატიაში, რომელიც ასოცირებულ ტრიოს ეძღვნება. კონფერენციის მონაწილეთა ფოტო ჩასმულია ორნამენტით გაფორმებულ ძველმოდურ ჩარჩოში⁴¹ პროექტისადმი ირონიის გასაძლიერებლად და განზრახული გზავნილის ვიზუალურად გასაძლიერებლად (იხ. **სურათი 3.1** დანართში).

3.2.9 ე.წ. მასკიროვკა

სტატიები, ასევე, შეიცავენ კრემლის პროპაგანდის ხერხს – ე.წ. „მასკიროვკა“ (ოსტატური ტყუილი).

მსგავსი მახასიათებელი ვლინდება, მაგალითად, მედიის განვითარების ფონდის ანგარიშის ანტი-დასავლური პროპაგანდის შესახებ სტატიაში.⁴² *საქინფორმი* არ აღნიშნავს, რომ აღნიშნულ ანგარიშში თვითონ არის პროპაგანდის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ ნახსენები.⁴³ *საქინფორმი* ეყრდნობა არა მედიის განვითარების ფონდის ანგარიშს, არამედ სივილ ჯოჯიას სტატიას, თუმცა, კონტექსტი სივილ ჯოჯიასთვის განსხვავებულია, რადგან იგი საერთოდ არ არის ნახსენები ანგარიშში. აღნიშნული ხერხი ემსახურება ინფორმაციის დამალვას.

3.2.10 სათაურით მანიპულაცია

თეორიულ ჩარჩოში აღწერილი ხერხების გარდა სტატიებში გამოვლინდა დამატებითი მახასიათებლებიც.

პირველი თავისებურებაა *სათაურით მანიპულაცია*. მაგალითად, სააგენტო კარლ ჰარცელის სიტყვით გამოსვლის გამოქვეყნებისას სათაურად იყენებს – „კარლ ჰარცელი – საქართველოს ყველაფერი აქვს ცაში ასაჭრელად, თუმცა, გარკვეული რაოდენობა ქვის ნატეხებისა კვლავაც რჩება საფრენ ბილიკზე“.⁴⁴ იმავე გამოსვლაში ჰარცელმა განაცხადა, რომ „საქართველოს ევროპული გზა მყარ საფუძველზე შენდება“.⁴⁵ ნაცვლად ნეიტრალური სათაურისა ან ნახსენები ციტატისა, ავტორმა შექმნა შთაბეჭდილება, რომ საქართველოს აქვს მრავალი ბარიერი ევროინტეგრაციის გზაზე და იმის ხაზგასმა, რომ

³⁸ Gareth S. Jowett and Victoria O'Donnell, *Propaganda and Persuasion*, 17.

³⁹ John B. Whitton, „Cold War Propaganda“, 151.

⁴⁰ Jaques Ellul, trans., *Propaganda The Formation of Men's Attitudes*, 79.

⁴¹ არნო ხიდირბეგიშვილი, „საქართველო-ევროკავშირი: წარიღტვა სიყვარული, დაშთა ოდენ ევრო! – არნო ხიდირბეგიშვილი“, საქინფორმი.

⁴² „მედიის განვითარების ფონდი: საქართველოში ანტიდასავლური პროპაგანდა მომძლავრდა“, საქინფორმი, 24 სექტემბერი, 2021, ნანახია: 16 მარტი, 2022, <http://saqinform.ge/news/52290/mediis+ganviTarebis+fondi%3A+saqarTvelo shi+antidasavluri+propaganda+momZlavrda+.html>

⁴³ Tamar Kintsurashvili, „Anti-Western Propaganda 2020“, 21.

⁴⁴ „კარლ ჰარცელი – საქართველოს ყველაფერი აქვს ცაში ასაჭრელად, თუმცა გარკვეული რაოდენობის ქვის ნატეხებისა კვლავაც რჩება საფრენ ბილიკზე“, Saqinformi, May 28, 2021, accessed March 13, 2022, <http://saqinform.ge/news/50877/karl+arceli+saqarTvelos+yvelaferi+aqvs+cashi+asaWrelad%2C+Tumca+garkveuli+raodenobis+qvis+natexebis+a+kvlavac+rcheba+safren+bilikze.html>

⁴⁵ იქვე.

ეს სიტყვები ეკუთვნის კარლ ჰარცელს (ევროკავშირის ელჩს საქართველოში) ზრდის იმედგაცრუებას. ამგვარად, ამ ხერხის მთავარი მიზანი არის მკითხველის შეცდომაში შეყვანა პირველადი მცდარი შთაბეჭდილების შექმნით.

3.2.11 სტატიების სიმრავლე


პროპაგანდის გავრცელების დამატებით ხერხს, ასევე, წამოადგენს პროპაგანდისტული მახასიათებლების მატარებელი სტატიების ორჯერ განთავსების ტენდენცია. მსგავსი ხერხი ზრდის იმ სტატიების ნახვის ალბათობას, რომლებიც სუბიექტურ ინფორმაციას შეიცავს.

3.2.12 ავტორიტეტის ძალა

მოცემული ხერხი მოიცავს სტატუსის მქონე პირზე დაყრდნობას. ეს ეფექტი მიიღწევა *საქინფოხმი*-სა (თავად მედია სააგენტო) და არნო ხიდირბეგიშვილის (მთავარი რედაქტორი) სათაურში ხსენებით. მეტიც, სტატიები შეიცავს სპეციალურ მითითებას, რომ ისინი ეკუთვნის მთავარ რედაქტორს. სათაურში მათი ხსენების მიზანია, მიიზიდოს დიდი რაოდენობით მკითხველი, რადგან ხალხი ადვილად იჯერებს მასზე სტატუსით მაღლა მდგომისგან მომავალ ინფორმაციას.⁴⁶

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქინფორმმა გამოიყენა 12 პროპაგანდისტული ხერხი. აქედან 8 წარმოადგენდა ზოგადი პროპაგანდის მახასიათებელს, 2 – კრემლის პროპაგანდისას, ხოლო 3-ის იდენტიფიცირება მოხდა დამატებით. დიაგრამა 3.3 აჯამებს გამოვლენილ ხერხთა სიხშირეს.

დიაგრამა 3.3: პროპაგანდისტული მახასიათებლები და მათი სიხშირე (*საქინფოხმი*)




3.3. საქაჩოველოსა და მსოფლიოს სტატიებში გამოვლენილი თემები

ყოველი თვის ბოლო კვირის განმავლობაში სააგენტომ ჯამში 63 სტატია გამოაქვეყნა. პროპაგანდისტული მახასიათებლები გამოვლინდა 59 სტატიაში.

რაც შეეხება სიტყვათა სიხშირეს, ყველაზე ხშირად გამოყენებული ხუთი სიტყვაა: 'საქართველო', 'რუსეთი', 'დასავლეთი' და 'ევროკავშირი'. პირველ ორი წარმოჩენილია დადებითად და ნეიტრალურად. 'ევროკავშირი' წარმოდგენილია უარყოფითად და ნეიტრალურად, ხოლო 'ევროკავშირი' და 'დასავლეთი' – უარყოფით კონტექსტში. სიტყვების სიხშირე გვეხმარება არამხოლოდ რაოდენობრივ მონაცემებზე დაკვირვებაში, არამედ, სააგენტოს მთავარი ტენდენციის გამოვლენაში (თემებთან ერთად). კერძოდ, 'საქართველო' წარმოჩენილია როგორც 'ევროპის', 'ევროკავშირისა' და 'დასავლეთის' პოლიტიკური მსხვერპლი; 'რუსეთი' კი როგორც ძალა, რომელსაც შეუძლია 'საქართველოს' მათგან დახსნა. დიაგრამა 3.4 აჯამებს სიტყვათა გამოყენების სიხშირეს.

⁴⁶ Handley Cantril, "Propaganda Analysis", 219-220.

დიაგრამა 3.4 სიტყვების სიხშირე (საქართველო და მსოფლიო)



სტატიებში გამოვლენილი მთავარი თემები შეგვიძლია დავაჯგუფოთ შემდეგნაირად:

1. ევროკავშირი (დასავლეთი) სუსტი ძალაა, რუსეთი – ძლიერი
2. რუსეთის მედიაცია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში წარმატებული იყო
3. ევროკავშირმა განირა საქართველო კოვიდ-19-თან ბრძოლაში
4. ევროკავშირი გულგრილი ორგანიზაციაა
5. ევროკავშირის დაშლა
6. დაძაბულობა ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის
7. ევროპული გეზის ამაოება
8. საქართველო, როგორც მანიპულაციის იარაღი დასავლეთისთვის
9. ევროკავშირი (დასავლეთი) ერევა თავისი პარტნიორების შიდა საქმეებში
10. ევროკავშირის შიდა პრობლემები
11. ქართველები ევროპული გეზის წინააღმდეგნი არიან
12. ევროკავშირის მიკერძოება ოპოზიციური პარტიებისადმი
13. შარლ მიშელის დოკუმენტი არ არის სასარგებლო საქართველოსთვის
14. ასოცირებული ტრიოს შექმნა ნეგატიური მოვლენაა
15. დასავლეთი ახალისებს არატრადიციულ ოჯახს/სექსუალურ ორიენტაციას
16. დასავლეთი აიძულებს საქართველოს, რომ ებრძოდეს რუსეთს
17. ევროპა ხელს უწყობს უარყოფითი დამოკიდებულების გაძლიერებას მის მიმართ
18. ქართველები დამცირებული არიან დასავლეთში
19. ლიბერალური მედია დასავლეთიდან ფინანსდება
20. ევროკავშირი (დასავლეთი) ხელს უწყობს რუსოფობიის გაღვივებას საქართველოში

მენტების გაუფასურებით, სააგენტო აჩვენებს კონტრასტს ევროკავშირსა და საქართველოს შორის.

ყველა ასპექტის გათვალისწინებით, ზემოთ ხსენებული თემები ევროკავშირის საკუთარ სარგებელზე კონცენტრირებულ ძალად წარმოჩენას ემსახურება. ამის პარალელურად, სტატიების მიზანია, წარმოაჩინოს რუსეთი, როგორც საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ რეალობასთან შესაბამისობაში მყოფი ძალა.

3.4 პროპაგანდის ხერხები საქართველოსა და მსოფლიოს სტატიებში

3.4.1 ემოციური ენა

ემოციურად დატვირთული სიტყვები ორ კატეგორიას ავლენს. პირველი კატეგორია მთავარ პოლიტიკურ ფიგურებს შეეხება. მეორე კატეგორია კი იმ კონსტრუქციებს მიემართება, რომლებშიც ევროკავშირის პირდაპირ და ირიბად ხსენება გვხვდება.

პირველი კატეგორია, ჩვენს შემთხვევაში, ეხება კრისტიან დანიელსონს (ევროკავშირის სამეზობლო და გაფართოების მოლაპარაკების დირექტორი), შარლ მიშელსა და კარლ ჰარცელს. კრისტიან დანიელსონზე არაერთხელ არის აღნიშნული, რომ იგი უხეშად ერევა საქართველოს საშინაო საქმეებში.⁴⁷ შარლ მიშელი წარმოდგენილია, როგორც გარეშე აქტორი, რომელიც ქართველ პოლიტიკოსებს პოლიტიკური ქცევის წესებს კარნახობს.⁴⁸ ჰარცელი კი წარმოჩენილია უზენაეს სასამართლოში მოსამართლეების დანიშვნის კონტექსტში,⁴⁹ რათა ხაზი გაესვას მის ჩარევას საქართველოს საშინაო საქმეებში.

მეორე კატეგორია მოიცავს ევროკავშირზე პირდაპირ და არაპირდაპირ მითითებებს. ევროკავშირი ნაჩვენებია, როგორც იმედგაცრუების წყარო ქართველი ხალხისთვის, განსაკუთრებით, აგვისტოს ომის დროს; საქართველო მოხსენიებულია, როგორც ევროკავშირის 'ტყვე'.⁵⁰ ეს ვარაუდი, ასევე, განმტკიცებულია შემდეგი მაგალითით – დასავლური ორიენტაცია არის „პერმანენტული მარცხის, მუდმივი იმედგაცრუებისა და დაუსრულებელი ჯოჯოხეთის გზა...“⁵¹ დასავლეთი „ყველაფერს ყიდულობდა [საქართველოში]“.⁵² ბოლო მაგალითი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ავტორს შემოჰყავს ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურა – „საქართველო იყიდება“⁵³, ჩაფიქრებული მიზნის ეფექტის გასაძლიერებლად (აღუზია).

ამრიგად, ემოციური ენა აკრიტიკებს ევროკავშირს (დასავლეთს) ქართველებისთვის ერთ-ერთი ყველაზე სენტიმენტალური (აგვისტოს ომი) საკითხის გამოყენებით. ენობრივი ერთეულები ნეგატიური დატვირთვისაა.

⁴⁷ ბესო ბარბაქაძე, „დასავლეთი ცდილობს, ქართველ ხალხს ხელისუფლებაში კვლავ „ნაციონალური მოძრაობა“ ჩაუდოს გუგულის კვერცხით“, საქართველო და მსოფლიო, 31 მარტი, 2021, ნანახია: 9 მარტი, 2022, <http://geworld.ge/ge/dasavleti-cdilobs-qartvel-xalxs-nacionalebi/>

⁴⁸ ბესო ბარბაქაძე, „ქართველი პოლიტიკოსები ბჭობდნენ და შარლ მიშელი იცინოდაო“, საქართველო და მსოფლიო, 27 ივლისი, 2021, ნანახია: 15 მარტი, 2022, <http://geworld.ge/ge/%e1%83%a5%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%95%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%9e%e1%83%9d%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%99%e1%83%9d%e1%83%a1%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98-%e1%83%91%e1%83%ad/>

⁴⁹ არმაზ სანტელიძე, „პურის ნატეხი მაინც მაინოდეთ სამართალს“, საქართველო და მსოფლიო, 30 ნოემბერი, 2021, ნანახია 18 მარტი, 2022, <http://geworld.ge/ge/%e1%83%9e%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%9c%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%94%e1%83%ae%e1%83%98-%e1%83%9b%e1%83%90%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%aa-%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%90%e1%83%ac%e1%83%9d/>

⁵⁰ ვალერი კვარაცხელია, „აი, ესა ვართ დღევანდელი ქართველები!“, საქართველო და მსოფლიო, 28 სექტემბერი, 2021, ნანახია: 16 მარტი, 2022, <http://geworld.ge/ge/%e1%83%90%e1%83%98-%e1%83%94%e1%83%a1%e1%83%90-%e1%83%95%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%97-%e1%83%93%e1%83%a6%e1%83%94%e1%83%95%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%93%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%a5%e1%83%90/>

⁵¹ ვალერი კვარაცხელია, „ქართველები დასავლეთის ტყვეობაში“, საქართველო და მსოფლიო, 24 თებერვალი, 2021, ნანახია: 10 მარტი, 2022, <http://geworld.ge/ge/%e1%83%a5%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%95%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98-%e1%83%93%e1%83%90%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%95%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%97%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%a2%e1%83%a7/>

⁵² ვალერი კვარაცხელია, „დამნაშავეთა სახელმწიფო“, საქართველო და მსოფლიო, 26 მაისი, 2021, ნანახია: 13 მარტი, 2022, <http://geworld.ge/ge/%e1%83%93%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%9c%e1%83%90%e1%83%a8%e1%83%90%e1%83%95%e1%83%94%e1%83%97%e1%83%90-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%ae%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%9b%e1%83%ac%e1%83%98%e1%83%a4%e1%83%9d/>

⁵³ იქვე.

3.4.2 პოლემიკური ასპექტი

სააგენტოს სტატიებში *პოდემიკური ასპექტი* მიიღწევა ‘კახისა’ და ‘ცუდის’ დაპირისპირებით. მაგალითად, რუსეთთან მიმართებით აღნიშნულია, რომ იგი ‘უფრთხილდება ზნეობას’, ხოლო ევროკავშირის სისუსტეს.⁵⁴ ეს დაპირისპირება მიღწეულია რელიგიური მოტივით, რაც დიდი ალბათობით გავლენას მოახდენს მკითხველზე.

შესაბამისად, *საქართველოსა და მსოფლიოს სტატიებში* ‘კახი’ მხარე არის რუსეთი, ხოლო ‘ცუდი’ – ევროკავშირი.

3.4.3 სუბიექტური არგუმენტაცია

სუბიექტური არგუმენტაცია სააგენტოს მიერ ერთ-ერთი ხშირად გამოყენებული ხერხია. იგი განსაკუთრებით გამოიყენება ბრექსიტთან მიმართებით. სააგენტო ამ საკითხს წარმოაჩენს, როგორც ევროკავშირის სისუსტეს.⁵⁵ თუმცა, არ არის ნახსენები რა შედეგი აქვს/ექნება ბრექსიტს დიდ ბრიტანეთზე, მაშინ, როცა არაერთმა კვლევამ აჩვენა ბრექსიტის უარყოფითი გავლენა ბრიტანეთზე ‘რეგიონულ’, ‘სექტორულ’, ‘გენდერულ’, ‘საგანმანათლებლო’, ‘სიღარიბის’ და ‘თანასწორობის’ კუთხით.⁵⁶ ეს ხერხი გამოიყენებულია იმის საჩვენებლად, რომ ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფოს გაერთიანებიდან გასვლამ ევროკავშირს დიდი პრობლემა შეუქმნა.

ამგვარად, სააგენტო *სუბიექტური არგუმენტაციის* იყენებს მაშინ, როცა ევროკავშირის ხელთ არსებული არგუმენტები მთლიან სურათს ცვლის.

3.4.4 ლოგიკური მსჯელობის უგულებელყოფა

საქართველოსა და მსოფლიოს სტატიებში არაერთხელ შეინიშნება ლოგიკური მსჯელობიდან გადახვევა. მაგალითად, სააგენტოს მტკიცებით, ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია შეიძლება ვლადიმერ პუტინს შეხვედროდა, მაგრამ „დასავლეთმა აიძულა ჩვენი პრემიერი, სიტყვით გამოსულიყო და რუსეთი გაეკრიტიკებინა. შეხვედრა ჩაიშალა...“⁵⁷ სხვა წყაროების თანახმად, ორ ოფიციალურ პირს შორის შეხვედრა არც განიხილებოდა.⁵⁸ უნდა აღინიშნოს, რომ ეს სტატია ვაქცინაციას ეხება, თუმცა, პოლიტიკურ თემებსაც მიმოიხილავს. ამგვარად, ტექსტი ზედმეტად ინფორმაციულია. იგი, ასევე, ავლენს ედუარდ ლუკასისა და ბენ ნიმოს მიერ იდენტიფიცირებულ კრემლის პროპაგანდის მახასიათებელს – *მთავარი საკითხიდან გადახვევა*.⁵⁹

ამ ხერხის კვალი, ასევე, შეიმჩნევა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს გაიგივებით. კერძოდ, სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება პრეზერვატივის მწარმოებელი ქართული კომპანიის შესახებ მიწერილია ევროკავშირისთვის.⁶⁰ სტრასბურგის სასამართლო არის

⁵⁴ ზურაბ ცუციერიძე, „ბადვით მორცხვიც გაურცხვდება“, საქართველო და მსოფლიო, 27 იანვარი, 2021, ნანახია: 9 მარტი, 2022, <http://geworld.ge/ge/%e1%83%91%e1%83%90%e1%83%ab%e1%83%95%e1%83%98%e1%83%97-%e1%83%9b%e1%83%9d%e1%83%a0%e1%83%aa%e1%83%ae%e1%83%95%e1%83%98%e1%83%aa-%e1%83%92%e1%83%90%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%aa%e1%83%ae%e1%83%95%e1%83%93/>

⁵⁵ ბესო ბარბაქაძე, „საქართველო – ნაცრის საჩხრეკი ჯიბი დასავლეთის ხელში“, საქართველო და მსოფლიო, 23 ივნისი, 2021, ნანახია: 14 მარტი, 2022, <http://geworld.ge/ge/%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%a5%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%95%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%9d-%e1%83%9c%e1%83%90%e1%83%aa%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%a9%e1%83%ae%e1%83%a0/>

⁵⁶ Kitty Stewart, March 14, 2022, “Who will suffer most from Brexit? Effects be region, sector, skill level and income group,” LSE Blog, May 13, 2019, <https://blogs.lse.ac.uk/politicsandpolicy/who-will-suffer-most-from-brexit/>

⁵⁷ ბესო ბარბაქაძე, „ხელისუფლებაც, გამოაქვეყნეთ ჩინური ვაქცინის ოფიციალური ფასი და ისიც, რამდენს ვიხდით ჩვენ!“, საქართველო და მსოფლიო, 31 მარტი, 2021, ნანახია: 11 მარტი, 2022, <http://geworld.ge/ge/xelisuflebav-gamoaqveknet-chinuri-vaqcinis-fasi/>

⁵⁸ შოთა ტყეშელაშვილი, „მაია ცქიტიშვილი: გახარია-პუტინის შეხვედრა არ მზადდება და არ განიხილება“, ბიზნეს მედია საქართველო, 22 ოქტომბერი, 2019, ნანახია: 11 მარტი, 2022, <https://bm.ge/ka/article/maia-cqitishvili-gaxaria-putinis-shexvedra-ar-mzaddeba-da-ar-ganixileba/42286/>

⁵⁹ Edward Lucas and Ben Nimmo, 2015, apud Irakli Sirbiladze, “Russia’s Disinformation Campaigns in Georgia: A Study of State and Civil Society Response”, 16.

⁶⁰ ეკა ნასყიდაშვილი, „ლევან ჩაჩუა: მიმიფრთხეობა სტრასბურგის სასამართლოსთვისაც, იმ მოსამართლისთვისაც, რომელმაც ეს გადაწყვეტილება მიიღო, იმ ფულის მონებისთვისაც, რომლებიც სტრასბურგში “აიისას” იცავდნენ“, საქართველო და მსოფლიო, 27 ივლისი, 2021, ნანახია: 15 მარტი, 2022, <http://geworld.ge/ge/%e1%83%9a%e1%83%9d%e1%83%9c%e1%83%90%e1%83%aa%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%a9%e1%83%ae%e1%83%a0/>

ევროპის საბჭოს სასამართლო, რომელიც განსხვავებული ორგანიზაციაა. იმ შემთხვევაშიც, თუ მკითხველი მოინდომებს ინფორმაციის სიზუსტის გადამოწმებას მას შეიძლება ევროპის საბჭო აერიოს ევროკავშირის ინსტიტუტებში – ევროპული საბჭო და ევროკავშირის საბჭო. შესაბამისად, მკითხველმა შეიძლება ეს გადაწყვეტილება ევროკავშირის მიაწეროს (აგიტაციის პირობებზე).

მოკლედ რომ ვთქვათ, დოკუმენტი მსჯელობის უგულებელყოფა (ობიექტუი ჰეაღობას მოწყვეტილობა) სააგენტოს მიერ გამოყენებულია მკითხველის დასაბნევადა და შეცდომაში შესაყვანად.

3.4.5 დიალოგური სტრუქტურა

ანალიზმა, ასევე, გამოავლინა ხერხი, რომელიც გამოიყენება მკითხველთან მჭიდრო კავშირის შესანარჩუნებლად. ეს მიზანი მიიღწევა შემდეგი გამოთქმებით – „იცით ეს რას ნიშნავს [მკითხველებო]“⁶¹ მსგავსი კონსტრუქციების დანიშნულებათა ჩართოს მკითხველი პროცესში და გაზარდოს ზემოქმედების სფერო მიმანიშნებელი და შემაჯამებელი კითხვების დასმით.

ამ ხერხის მეორე ნაწილი მოიცავს ფორმალობის ნაშლას – „მარტივად აგისხნით, როგორ კეთდება ფული ჩვენს ხარჯზე.“⁶² ეს მაგალითი ხაზს უსვამს ავტორის, როგორც ობიექტური ინფორმაციის მიმწოდებლის როლს. ავტორი იყენებს კუთვნილებით ნაცვალსახელს „ჩვენი“ ავტორისა და მკითხველის გასათანაბრებლად. მოცემული ტაქტიკა გამოიყენება აუდიტორიის ნდობის მოსაპოვებლად.

ამგვარად, დიალოგური სტრუქტურის მთავარი მიზანია მკითხველის ჩართულობა სტატიის მსვლელობისას და ავტორის, როგორც მკითხველისთვის ზუსტი ინფორმაციის მიმწოდებლის ძალისხმევის საზგასმა.

3.4.6 მიზანმიმართული სტრუქტურა

მედია სააგენტოს სტატიები გარკვეულ მიზანს ემსახურება. მსგავსი მაგალითები მოიცავს ევროკავშირის შიდა პრობლემების ჩვენებას. ავტორი ევროკავშირის სასტიკ ძალად წარმოჩენას ძირითადად სათაურით ცდილობს – „ევროკავშირი უნგრეთს ვერ დააშანტაჟებს“,⁶³ ორიგინალი სტატიის სათაური ჟღერს შემდეგნაირად: “AP ინტერვიუ: უნგრეთი ერთგული რჩება სადავო ლგბტ კანონისადმი”.⁶⁴ სააგენტო ცდილობს, უჩვენოს მკითხველს, თუ როგორ ნეგატიურად მოქმედებს ევროკავშირი უნგრეთზე (წევრ ქვეყანაზე).

3.4.7 ორკესტრირება

განალიზებული პერიოდის მანძილზე, საქართველო და მსოფლიო დაეყრდნო 14 რუსულ მედია სააგენტოს, როგორებიცაა: ვზგლიაღი, იზვესტია, ხაშა თუღეი, იახეჟსი, სტაგეგეიური კუღტუხის ფონღი, პოღიგნავიგაგოხი, ნასპხავღი, ხია-ნოვოსტი, პხავღო ხუბი, ჰეგნუმი, ევხაზია ღეიღი, დაღმა ნიუსი, ნიუს ფხონტი და ცახგხაღი.

e1%83%94%e1%83%95%e1%83%90%e1%83%9c-%e1%83%a9%e1%83%90%e1%83%a9%e1%83%a3%e1%83%90-%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%a4%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%ae%e1%83%94%e1%83%91/

⁶¹ ჯაბა ჟვანია, „ნანა კაკაბაძე: საქართველოს მიმართ დემოკრატიის სახელით უკვე ღიად ხორციელდება ორმაგი სტანდარტის პოლიტიკა, რომელიც რეალურად გაცხადებული კოლონიალიზმია“, საქართველო და მსოფლიო, 24 თებერვალი, 2021, ნანახია: 10 მარტი, 2022, <http://geworld.ge/ge/%e1%83%9c%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%90-%e1%83%99%e1%83%90%e1%83%99%e1%83%90%e1%83%91%e1%83%90%e1%83%ab%e1%83%94-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%a5%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%95%e1%83%94%e1%83%9a-3/>

⁶² ბესო ბარბაქაძე, „ხელისუფლებავ, გამოაქვეყნეთ ჩინური ვაქცინის ოფიციალური ფასი და ისიც, რამდენს ვიხდით ჩვენ!“, საქართველო და მსოფლიო.

⁶³ გიორგი გაჩეჩილაძე, „ევროკავშირი უნგრეთს ვერ დააშანტაჟებს“, საქართველო და მსოფლიო, 28 სექტემბერი, 2021, ნანახია: 16 მარტი, 2022, <http://geworld.ge/ge/%e1%83%94%e1%83%95%e1%83%a0%e1%83%9d%e1%83%99%e1%83%90%e1%83%95%e1%83%a8%e1%83%98%e1%83%a0%e1%83%98-%e1%83%a3%e1%83%9c%e1%83%92%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%97%e1%83%a1-%e1%83%95%e1%83%94%e1%83%a0/>

⁶⁴ Justin Spike, “The AP Interview: Hungary committed to contentious LGBT law,” Associated Press, September 24, 2021, accessed March 16, 2022, <https://apnews.com/article/immigration-united-nations-general-assembly-coronavirus-pandemic-business-health-d19fb1eb2772478da1206fb5d982b6c7>

საჭიროა ხსენებული სააგენტოების მოკლე დახასიათება. ვზგდიადი,⁶⁵ იზვესტია,⁶⁶ ჰაშა თუდეი,⁶⁷ იაიქესი,⁶⁸ ნასპხავდი,⁶⁹ პოლიტგრაფიკა,⁷⁰ პრავდო ხუბი,⁷¹ ჰია ნოვოსტი,⁷² ჰეგნუმი,⁷³ სტაგევი-უდი კუდგუხის ფონდი,⁷⁴ ევზაზია დეიდი,⁷⁵ დაღმა ნიუსი⁷⁶ და ცაიხგადი⁷⁷ პრო-რუსული სააგენტოებია. ამგვარად, საქართველო და მსოფლიო ეყრდნობა რუსულ წყაროებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული რუსეთის პოზიციის მხარდაჭერაში ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს მოვლენა ავლენს თეთხი პიოპაგანდისა და დაბეჭდვების შექმნის მახასიათებლებს.

საქართველო და მსოფლიო გამოავლინა თეთხი პიოპაგანდის, ოპერაციებისა და დაბეჭდვების შექმნის მაგალითები, როგორც ხერხების კომბინაცია, რაც მიუთითებს მის კოორდინირებულ ქმედებაზე სხვა პრო-რუსულ სააგენტოებთან.

3.4.8 ფოტო/კარიკატურა

სააგენტო აქტიურად იყენებს ფოტოებსა და კარიკატურებს სასურველი მიზნის მისაღწევად. მაგალითად, ევროკავშირის დაშლისადმი მიძღვნილ სტატიაში ასახულია ევროკავშირის გახეული დროშა⁷⁸ (იხ. სურათი 3.2 დანართში). ფოტოს მიზანი ცალსახაა, მკაფიოდ აჩვენოს ევროკავშირის დაშლის პროცესი.

ასევე, გვაქვს კარიკატურა, რომლის მიზანია ასახოს დასავლეთის მიერ საქართველოს დამცირების მასშტაბი და ასევე, ხაზი გაუსვას ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის შეუძლებლობას (იხ. სურათი 3.3 დანართში).⁷⁹

შესაბამისად, ფოტოსა და კარიკატურის შემოტანის მიზანია გზავნილის ვიზუალურად გაძლიერება.

⁶⁵ Shaun Walker, "In Russia, nobody's laughing at Iannucci's The Death of Stalin," The Guardian, October 14, 2017, accessed March 9, 2022, https://www.theguardian.com/world/2017/oct/14/in-russia-nobodys-laughing-at-armando-iannucci-death-of-stalin?CMP=fb_gu

⁶⁶ "Iswestija," Euro topics, accessed March 9, 2022, <https://www.eurotopics.net/en/179544/iswestija>

⁶⁷ Oliver Darcy, "I spent an entire day watching Russia's propaganda network. Here's the warped reality I saw presented to viewers," CNN, March 3, 2022, accessed March 9, 2022, <https://edition.cnn.com/2022/03/02/media/rt-propaganda-network/index.html>

⁶⁸ Paul Goble, "Is Moscow Putting the Talysh in Play Against Azerbaijan? Eurasia Daily Monitor Volume: 12 Issue: 21," European Country of Origin Information Network, February 3, 2015, accessed March 10, 2022, <https://www.ecoi.net/de/dokument/1352040.html>

⁶⁹ "Anti-US narratives in Ukraine," EAP Fakes, accessed March 12, 2022, <https://crpe.ro/eapfakes/countries/ukraine/anti-us-narratives-in-ukraine/>

⁷⁰ Sean Lyngaas and Zachary Cohen, "US accuses Moscow spies of working with Russian-language media outlets to spread Ukraine disinformation," CNN, February 15, 2022, accessed March 11, 2022, <https://edition.cnn.com/2022/02/15/politics/us-russia-ukraine-misinformation/index.html>

⁷¹ Daniel Laufer and Alexej Hock, "The network of fake foreign media," Netzpolitik, December 9, 2021, accessed March 15, 2022, <https://netzpolitik.org/2020/russian-disinformation-the-network-of-fake-foreign-media/>

⁷² Alistair Coleman, "Ukraine crisis: Russian news agency deletes victory editorial," BBC, February 28, 2022, accessed March 14, 2022, <https://www.bbc.com/news/technology-60562240>

⁷³ "Belarus Blocks Pro-Kremlin Russian News Agency Regnum," Radio Liberty, October 31, 2021, accessed March 16, 2022, <https://www.rferl.org/a/belarus-blocks-regnum-website/31538008.html>

⁷⁴ "An Unfounded Foundation," EU vs DiSiNFO, February 8, 2019, accessed March 11, 2022, <https://euvsdisinfo.eu/an-unfounded-foundation/>

⁷⁵ "EADaily; a worker bee in the Kremlin's information war," Propastop, December 1, 2020, accessed February 9, 2022, <https://www.propastop.org/eng/2020/12/01/eadaily-a-worker-bee-in-the-kremlins-information-war/>

⁷⁶ „3 მედია, 1 სათაური ევროპასთან უვიზო მიმოსვლის შესახებ“, მითების დეტექტორი, 6 ივლისი, 2017, ნანახია: 16 მარტი, 2022, <https://mythdetector.ge/ka/3-media-1-sathauri-evropasthan-uvizo-mimosvli-sheesakheb/>

⁷⁷ Katerina Glyanko, "YouTube removes propaganda channel "Tsargrad TV," owned by the sponsor of "Russian Spring," Crimea Suspilne, July 28, accessed March 22, 2022, <https://crimea.suspilne.media/en/news/662>

⁷⁸ ლუკა მაისურაძე, „ევროკავშირის დღეები დათვლილია“, საქართველო და მსოფლიო, 27 ოქტომბერი, 2021, ნანახია: 16 მარტი, 2022, <http://geworld.ge/ge/%e1%83%94%e1%83%95%e1%83%a0%e1%83%9d%e1%83%99%e1%83%90%e1%83%95%e1%83%a8%e1%83%98%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%93%e1%83%a6%e1%83%94%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98-%e1%83%93%e1%83%90%e1%83%97/>

⁷⁹ ბესო ბარბაქაძე, „რატომ თვლიან ამერიკა და ევროპა საქართველოს ვირად და რატომ ვერ უბედავს ვირი პატრონს წიხლს“, საქართველო და მსოფლიო, 30 ივნისი, 2021, ნანახია: 14 მარტი, 2022, <http://geworld.ge/ge/%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%9d%e1%83%9b-%e1%83%97%e1%83%95%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%90%e1%83%9c-%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90-%e1%83%93%e1%83%90-%e1%83%94/>

3.4.9 ე.წ. მასკიროვკა

საქართველო და მსოფლიომ გამოავლინა კრემლის პროპაგანდის თვისება – ე.წ. მასკიროვკა (ოსტატური ტყუილი). ასეთი მაგალითი იდენტიფიცირებულია სტატიაში, რომელიც ეხება საქართველოს ხელოვნების ასოციაციის ანგარიშს ანტი-დასავლური პროპაგანდის შესახებ.⁸⁰ სტატიაში არ არის გამოკვეთილი ფაქტი, რომ საქართველო და მსოფლიო პროპაგანდის მთავარ წყაროდ არის ნახსენები.⁸¹ საქართველო და მსოფლიო ეყრდნობა ინტეგრირების, თუმცა, ეს უკანასკნელი არ არის ანგარიშში ნახსენები. კონტექსტი განსხვავებულია საქართველო და მსოფლიოსთვის.

ამდენად, საქართველო და მსოფლიოს სტატიებში ე.წ. მასკიროვკა გამოიყენება იმ ინფორმაციის დასამალად, რომელიც თვითონ სააგენტოს რეპუტაციას ეხება.

3.4.10 სათაურით მანიპულაცია

ეს ხერხი გამოიყენება სააგენტოს მიერ ხელსაყრელი შთაბეჭდილების შესაქმნელად. ამ ხერხის მაგალითი კარგად ჩანს სტატიაში – „ევროკავშირის დღეები დათვლილია“.⁸² ამ ხერხს აქვს ორი მოტივი – ევროკავშირის სისუსტისა და შიდა პრობლემების ჩვენება.

3.4.11 დამაჯერებელი საუბრის ჩართვა

მოცემული მახასიათებელი სააგენტოს მიერ გამოიყენება მკითხველის დასარწმუნებლად. მაგალითად, აღწერა რა პოლიტიკური სიტუაციაა რეგიონში და მიანიჭა უპირატესობა რუსეთს, ირანსა და თურქეთს; დისკურსი ცდილობს, დაარწმუნოს მკითხველი, რომ ევროკავშირი არ არის მნიშვნელოვანი მოთამაშე რეგიონში.⁸³ პოლიტიკური სიტუაციის მსგავსი დახასიათება გამოიყენება საქართველოს პოლიტიკური კურსის ცვლილების აუცილებლობაში მკითხველის დასარწმუნებლად.

3.4.12 გამართლება შედეგით

საქართველოსა და მსოფლიოს სტატიებში მოცემული ხერხი გამოიყენებულია სასურველი განზრახვის დროულად მისაღწევად. ანალოგიური თვისება კრემლის პროპაგანდაში ედუარდ ლუკასისა და ბენ ნიმოს მიერ დახასიათებულია, როგორც აუდიტორიის შეშინება.⁸⁴

ამ ხერხის მაგალითები მოუწოდებს მკითხველს, დაინახოს ევროპული (დასავლური) მიმართულების საფრთხე – დასავლური ჩარევის შედეგები იქნება ის, „რომ ქვეყანა აღარ გვექნება ფორმალურადაც კი...“⁸⁵

ამრიგად, მსგავსი კონსტრუქციების მთავარი მიზანია, ხაზი გაუსვას დასავლური მიმართულების უარყოფით მხარეებს და იმოქმედოს მკითხველზე ქვეყნის დაცვის მოწოდებით.

